ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვახტანგ მაისაია: „ტრამპის მთავარი მეტოქე იქნება ჩინეთი და არა — რუსეთი“





გვ.4

24 იანვრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ჯეინ ოსტინი

გონება და გრძნობა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



სამშაბათი, 24 იანვარი, 2017 №19 (7254) ფასი: 50 თეთრი

# მამუკა გამყრელიძე: „გია ცერცვაძე რუსეთს არ უნდა გადავცეთ“



გვ.2

საპარლამენტო უმცირესობა გია ცერცვაძეს თავდებში უდგება



## ზაქარია ქუცნაშვილი: „აფხაზეთში ბრძოლა ინდულგენცია ვერ იქნება“

ელენე ხოშტარია: „ხელისუფლებას თავისი მოქალაქე არ ადარდებს“



## ვანო მერაბიშვილი ციხიდან ზაფხულში გამოვა?

ნაციონალებს ახალი გენერალური მდივნის არჩევა მოუწევთ



გვ.3

## „მივალთ იქ, სადაც ქუმსიშვილი იქნება“





გვ.3

ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ აქციები დაიწყო

## ანზორ წოწონავა: „ნაციონალებმა გადააყირავეს კონსტიტუცია, რომლის შეცვლასაც ახლა ცდილობენ“



გვ.4



## ლევან მურუსიძე: „ინსპექტორის ინსტიტუტის მომხრე არასდროს ვყოფილვარ“

„მოსამართლეების ანგარიშვალდებულების წინააღმდეგი არ ვარ“

## ირაკლი ფირცხალავამ და გიორგი ცააძემ შიმშილობა დაიწყეს

გვ.7



ISSN 1987-9385

9 771987 938006



იტალიაში საქართველოს მოქალაქე მოკლეს



## ფინანსთა მინისტრის მოადგილე: „ხალხს უნდა, რომ საბანკო მომსახურებას ლარში ეწეოდეს“

2016 წელს მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 347,3%-ით მეტი დახარჯა

„ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა ვერ გეგმავს ბიუჯეტს“

გვ.6





## იანვარში საქართველოში საკვები პროდუქციის ფასები 10,1%-ით გაიზარდა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მამუკა გამყრელიძე: „გია ცერცვაძე რუსეთს არ უნდა გადავცეთ“

ნონა ცაბაძე

ნაციონალური მოძრაობა უკრაინაში დაკავებული ვიცე-პოლკოვნიკის, გიორგი ცერცვაძის, მხარდასაჭერად გარკვეულ ღონისძიებებს იწყებს. ნაციონალურ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ სახეზეა სახელმწიფოს ღალატის და მოქალაქეების აბუჩად აგდების კლასიკური მაგალითი.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ინფორმაციით, ქართველი ჯარისკაცი გია ცერცვაძე, რომელიც აფხაზეთისა და 2008 წლის ომებში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ერთი კვირის წინ უკრაინაში დააკავეს. მას რუსეთი 2003 წელს დანაშაულის ჩადენაში ედავება. მასზე ძებნა კი მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 23 დეკემბერს გამოცხადდა. რუსეთი დაკავებულის გადაცემას ითხოვს.

ნაციონალები მიმართავენ უკრაინის საელჩოს, რომ არ მოხდეს დაკავებულის ექსტრადირება რუსეთის ფედერაციაში, რადგან ცერცვაძეს იქ სიკვდილი ელის. ნაციონალები მასობრივი აქციების დაწყებით იმუქრებიან.

ნაციონალების განცხადებებს წინ უძლოდა მამუკა გამყრელიძის სტატუსი სოციალურ ქსელში, სადაც ის მოუწოდებს ნაციონალებს, რომ სწორედ ახლაა აქტიურობის დრო და ხელისუფლებას ეს არ უნდა შერჩეს. – თქვენ თუ ხელისუფლებას შეარჩინეთ ეს ამბავი, კაპიკი ყოფილა თქვენი ფასი. ახლაა ასატეხი დიდი ხმაური, ხალხს თქვენი სჯერა და ულაპარაკოდ დაგიდგებიან იქ, სადაც ეტყვით, – წერს მამუკა გამყრელიძე.

რას გულისხმობს დიდი ხმაურის ატეხვაში, რისი გაკეთება შეუძლია დღეს ნაცმოძრაობას, რაში ადანაშაულებენ ხელისუფლებას? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, რაში ადანაშაულებთ ხელისუფლებას?***

– მე ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალებში არ შევალ, უბრალოდ, ელემენტარული ამბავია, რომ შენი მოქალაქე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასცე მტერს! ეს აბსურდია. სამარცხვინო ამბავი მოხდა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველმა დიპლომატმა ბრაზილიელი გოგონა გაიტანა მანქანით და შევარდნაძემ დიპლომატის ხელშეუხებლობა დაარღვია და ის პირი გადასცა ამერიკის ხელისუფლებას. ის დიპლომატი იქ დაიჭირეს. არც ერთი ნორმალური ქვეყანა არ იზამდა ამას. ამერიკელ დიპლომატს რომ იგივე მოსვლოდა საქართველოში, არავითარ შემთხვევაში არ დააჭერინებდა!



***– გია ცერცვაძის შემთხვევაში რას იტყვით?***

– ეს ადამიანი, როგორც მე ვიცი, კრიმინალი არ არის. ის მებრძოლი კაცია. კრიმინალიც რომ იყოს, მტერს მაინც არ უნდა გადასცე, ამის არანაირი საჭიროება არ არის. ისეთი ადამიანის, რომელიც შენი მეგობარი უკრაინის დასაცავად იბრძვის, გადაცემა რუსეთისთვის, ორივე ქვეყნის მტრისთვის, სრული აბსურდი, არანორმალური და სრულიად ულირსი საქციელია! რა გამოდის?! შენ შენი მეგობრის დამცველს, ჯარისკაცს, რომელიც იმ ქვეყნისთვის იბრძვის, გადასცემ მტერს! ეს ამბავი არაფერში არ წერია.

***– რა შეფასებას აძლევთ ხელისუფლების ნაბიჯებს? ან რაში ადანაშაულებთ მას?***

– დღეს არაფერი ახალი არ ხდება. ჩვენი სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს, რომ რუსეთის მიმართ იყოს ლოიალური. მის მიმართ გაატაროს უკბილო, უხერხემლო, ყოველგვარი პოზიციის არმქონე პოლიტიკა. ამაზე ბევრს ვკამათობთ, მაგრამ არაფერი არ იცვლება. მეტიც, დღეს ის ადამიანები შედიან პარლამენტში, რომლებიც თავის დროზე გაქცეულები იყვნენ რუსეთში და იქ იმალებოდნენ. დღეს კი გულზე მჯიღს იცემენ და ქვეყნის სიყვარულს გვეფიცებიან! მაშინ რატომ გარბოდი რუსეთში, რატომ მიგიღო რუსეთმა, თუ შენ რუსეთის პოლიტიკას არ ატარებ და მისი მეგობარი არ ხარ?!

***– უკრაინის სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გადასცემს თუ არა დაკავებულ ცერცვაძეს რუსეთს.***

– საქართველოს შეეძლო ის გამოეთხოვა, აქ მომხდარიყო მისი ექსტრადირება, მაგრამ ასე არ მოიქცა ჩვენი ხელისუფლება.

***– კონკრეტულად რას ედავებიან დაკავებულ გია ცერცვაძეს?***

– ედავებიან მკვლელობას, რომელიც სოჭში ჩაიდინაო, მაგრამ ეს ადამიანი იძახის, ამ დროს მე დონეცკში ვიბრძოდიო. ახლა უნდა დამტკიცდეს ეს ამბავი და თუ ცერცვაძე მართლა იბრძოდა დონეცკში, ცხადია, უკრაინელები არ გადასცემენ რუსებს და, იმედია, არ შევრცხვებით ჩვენც.

***– ანუ უკრაინაზეა დამოკიდებული ჩვენი შერცხვენა-არ შერცხვენის საქმე?***

– დიახ, ასეა. უნდა დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინის სასამართლო.

***– ნაცმოძრაობას რა შეუძლია ამ სიტუაციაში?***

– ნაცმოძრაობამ დღეს უნდა აჩვენოს თავისი კბილები, თავისი დრაივი, თავისი მოქმედება, რისთვისაც ამ ხალხმა მისცა მას ხმა. მე ვლაპარაკობ ხალხის იმ უზარმაზარ მასაზე, რომელსაც სწორედ ამის გამო მოსწონს ნაციონალური მოძრაობა. დღესაც შეუდრეკელობა უნდა აჩვენოს. თუ შემოიფარგლებიან მხოლოდ პარლამენტში ლაყბობით, ეს ყველას შეუძლია გააკეთოს. ამისთვის არის სწორედ ის მეორე გუნდი, „ევროპული საქართველოა“ თუ ვინც არის. მათ ნამდვილად გამოუვათ პარლამენტში სიტყვით და შეშფოთებით გამოსვლა.

***– განცხადებების დონეზე არ უნდა შემოიფარგლონონ, აბა, რა უნდა ქნან, ქუჩაში გამოვიდნენ და აქციები გამართონ?***

– ეს არ არის მარტო ქუჩის აქცია! მოქმედებაა საჭირო, ხმა უნდა მიაწვდინონ ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციებს, არ გამოვრიცხავ ქუჩის აქციებსაც. არის მომენტი, როდესაც ხალხი უნდა გამოვიდეს და საკუთარი ინტერესები დაიცვას! ეს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვაა. ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი. ეს უბრალოდ პრინციპის საკითხია და არა ის, რომ ცერცვაძეშია საქმე. მტერს არ უნდა დაუთმო შენი მოქალაქე, მით უმეტეს, ჯარისკაცი! სამწუხაროდ ეს ფაქტი პირველი არ იქნება, ასეთი ფაქტები მოხდა უკვე. დააჭერინეს ჩვენი ჯარისკაცები და მზვერავები. ერთხელ შერჩათ, მეორედ შერჩათ, როდემდე? ასე არ შეიძლება. ასევე შერჩათ გაზპრომის ამბავიც, რომელიც ცალკე საუბრის თემაა.

***– თქვენ საით მიანიშნებთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, გაატაროს რუსეთის ინტერესი და მას არ აწყენინოს?***

– დიახ, რუსეთისთვის დათმობა ნიშნავს მათი ინტერესების გატარებას. ასეთ საკითხებში დათმობა არ შეიძლება. არც ერთი საკუთარი თავის მიმართ პატივისმცემელი სახელმწიფო ამას არ გააკეთებს.

***– თუ დაუმტკიცდა ცერცვაძეს მკვლელობის ფაქტი, საქართველოს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიხადოს სასჯელი?***

– უკვე ველარ მოითხოვს, რადგან დათანხმდა ექსტრადირების საკითხს რუსეთში.

***– მაშინ რა ფასი აქვს იმ აქტიურობას, რომლისკენაც ნაციონალებს მოუწოდებთ? თუკი არაფერი შეიცვლება?***

– ფასი აქვს ორი თვალსაზრისით. ერთი, რომ შესაძლოა ამ საკითხში ჩაერთოს ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა თქვან, რომ ამ ადამიანის ექსტრადირება თუ მოხდება რუსეთში, იქ მას აუცილებლად მოკლავენ. სავჩენკოზე თუ გამოვიდნენ და ატეხეს წივილ-კივილი, რატომ არ უნდა გამოვიდნენ იგივე ცერცვაძეზე?! სავჩენკო კიდეც გაუშვეს და უკრაინის გმირიც გახდა და პარლამენტშიც შევიდა. რამდენად იმსახურებს, ეს მეორე საკითხია, მაგრამ აქ სახელმწიფოს ღირსების საკითხია! ყველა ნაბიჯი უნდა გადადგან იმისთვის, რომ ეს კაცი მტერს არ ჩაუვარდეს ხელში. სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ მისი მოქალაქე დაიცვას.

ნაციონალურ მოძრაობას მოვუწოდებ, რომ თავი დაანებონ ერთმანეთში კინკლაობას და მიხედონ იმ საქმეს, რაც მათი მოვალეობაა.

***– და რა არის მათი მოვალეობა? რა ფუნქცია აქვთ?***

– ეს პარტია ოპოზიციური პარტიაა და, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყვნენ ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში. მათი პრინციპი არის ძლიერი ქართული სახელმწიფო, ეს თემა არის მათი თემა. დღეს მათი მხარდამჭერი ძალიან აჟიტირებულია და დროა, გამოიყენონ ეს მომენტი.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „აფხაზეთში ბრძოლა ინდულგენცია ვერ იქნება“

## საპარლამენტო უმცირესობა გია ცერცვაძეს თავდებში უდგება

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინაში დაკავებული ქართველი მებრძოლის გია ცერცვაძის გამო, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სერიოზული ხმაური აგორდა. ხმაურის მიზეზი ხელისუფლების უმოქმედობა და დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება იყო.

სანამ ქუცნაშვილი თავის სათქმელს იტყოდა, გია ცერცვაძესთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობამ გააკეთა განცხადება. დეპუტატ გიორგი ტუღუშის თქმით, ისინი ქართველ მებრძოლს თავდებში უდგებიან.



– შევიმუშავეთ შუამდგომლობის ტექსტი, სადაც საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატები თავდებში ვუდგებით ვიცე-პოლკოვნიკ ცერცვაძეს, რომელიც დაკავებულია უკრაინაში და მივმართავთ უკრაინის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, რათა პირველ რიგში არც ერთ შემთხვევაში არ მოხდეს ცერცვაძის გადაცემა რუსეთის ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

ასევე თავდებში ვუდგებით, რომ იგი გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ჩვენ კომუნიკაცია გვქონდა ცერცვაძის ადვოკატთან და ვაპირებთ დახმარება გავუწიოთ ადვოკატს, რათა, თუ საჭირო იქნება, მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ მოითხოვონ მისი ექსტრადირების შეჩერება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ტუღუშმა.

ნაციონალური მოძრაობა კი ცერცვაძის მხარდასაჭერად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქციის მოწყობას აპირებს.

– ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებმა დაადასტურა საზოგადოების ეჭვი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობამ არა მხოლოდ შეგნებულად არ გააფრთხილა ქართველი ჯარისკაცი დაკავებისა და რუსეთისთვის გადაცემის საფრთხის შესახებ, არამედ აქტიურად ითანამშრომლა მტერთან და გადასცა რუსეთს საიდუმლო ინფორმაცია ქართველი ჯარისკაცის შესახებ, რითიც ჩაიდინა სახელმწიფოებრივი ღალატის აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იწყებს საპროტესტო კამპანიას ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლის გადასარჩენად. 24 იანვარს, 18.00 საათზე, ორთაჭალაში, შსს შენობასთან გაიმართება პირველი საპროტესტო აქცია, – ნათქვამია ნაციონალების განცხადებაში.

ცერცვაძის მხარდასაჭერად ერთი აქცია უკვე გაიმართა.

გუშინ, 23 იანვარს, უკრაინის საელჩოსთან საქართველოს მოქალაქეები შეიკრიბნენ და ოფიციალურ კიევს მოსთხოვეს, არ გადასცენ ცერცვაძე რუსეთს.



## ელენე ხოშტარია: „ხელისუფლებას თავისი მოქალაქე არ ადარდებს“

აქცია სოციალური ქსელით დაიგეგმა. სოციალური ქსელით კიდევ ერთი აქციის დაგეგმვა მიდის, რომელზეც იმ ჩინოსნების ფიტულების დაწვას აპირებენ, რომლებმაც ცერცვაძის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთეს.

ყველაზე შოკის მომგვრელი განცხადება დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა.

– ოთხოზორიას მკვლელიც იბრძოდა აფხაზეთში. ამ საბაბით არ გადმოგვცეს აფხაზებმა მკვლელობის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი... რუსეთთან მკვლელების ნაწილში, მე ვფიქრობ, რომ უნდა ვითანამშრომლოთ, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზაქარია ქუცნაშვილმა ცერცვაძის საქმეზე.

მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში მართლმსაჯულება უნდა იყოს მკაცრი. ქუცნაშვილი ამბობს, რომ აფხაზეთში ბრძოლა არ უნდა იყოს ვინმესთვის ინდულგენცია.

– გია ცერცვაძეს რაში სდებენ ბრალს, ეს არ ვიცი. არ შეიძლება იყოს აფხაზეთში ბრძოლა ან უკრაინაში ბრძოლა ინდულგენცია. ეს არ არის რაღაცისგან პასუხისმგებლობის თავის არიდების საშუალება, – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

დეპუტატ ოთარ კახიძის განცხადებით, უმრავლესობის დეპუტატის განცხადება მეტყველებს იმაზე, რომ თბილისი მოსკოვთან უკვე თანამშრომლობს.

– ზაქარია ქუცნაშვილმა პრაქ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მივალთ იქ, სადაც ქუმსიშვილი იქნება“

## ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ აქციები დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

წინააღმდეგობის მოძრაობამ, „ახალმა საქართველომ“ და ავტოიმპორტიორებმა დანაპირები შეასრულეს და გუშინ, 23 იანვარს, ფინანსთა მინისტრს სამსახურში მიაკითხეს.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიმიტრი ქუმსიშვილის გადადგომას ითხოვენ, მინისტრთან ხელცარიელი მისვლა ეუხერხულათ და ყველა მათგანმა სამინისტროსთან ბლუჯით ფული მიიტანა.

აქციის მონაწილეებმა ეს ფული ფინანსთა სამინისტროს შესასვლელში დაყარეს.

– ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ მას სიამოვნებისგან გააჟრიალა, როცა დაინახა, რომ ქალბატონმა ჯიბიდან ბლუჯით ამოიღო ფული. ჩვენც გადავწყვიტეთ, მისთვის ბლუჯით მიგვეტანა ფული. ჩვენი მიზანი ქუმსიშვილისთვის დისკომფორტის შექმნა იყო. ამიტომაც ბლუჯაში მხოლოდ 1 და 2 თეთრიანები გვქონდა, არც ერთ ჩვენგანს 2 ლარზე მეტი არ დაუტოვებია იქ, არ გვინდოდა მინისტრს ისევ სიამოვნებისგან ჟრიალი დასწყებოდა, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა.

ბეტონზე დაყრილი ხურდების წკრიალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, აქციამ მშვიდად ჩაიარა. აქციის მონაწილეებმა ფინანსთა მინისტრს განცხადებაც აახლეს. განცხადება სამინისტროს მისაღებში ჩაიბარეს.



განცხადებაში აქციის მონაწილეები იმ მიზეზებს განმარტავენ, თუ რატომ ითხოვენ ქუმსიშვილის გადადგომას.

– მოგიწოდებთ, დატოვოთ დაკავებული თანამდებობა. ჩვენი მოწოდება და მოთხოვნა განაპირობა თქვენმა რამდენიმეწლიანმა მუშაობამ ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებში. მიგვაჩნია, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენს თანამდებობებზე მუშაობას ქვეყნისთვის და მისი ეკონომიკისთვის წარმატება არ მოუტანია, რაც გამოისახება ციფრებში. ასევე მთავრობის და პარლამენტის უმრავლესობის წევრებთან ერთად ხართ პასუხისმგებელი იმ 10-პუნქტიან დამანგრეველ გეგმაზე, რომელმაც უკვე აზარალა ჩვენი თანამოქალაქეები.

თქვენ ხართ ქვეყნის მთავარი ფინანსისტი, ამიტომ თავად ხართ პასუხისმგებელი იმ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას. ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ვუერთდებით პეტიციას და მოგიწოდებთ, დატოვოთ დაკავებული თანამდებობა, – ვკითხულობთ განცხადებაში.

გუშინდელი აქციის მონაწილეები მომავალს იმედით კი უყურებენ, მაგრამ ნაკლებად სჯერათ, რომ მინისტრი წავა.

– მართალია, განცხადება ჩაიბარეს, მაგრამ გვეეჭვება, რომ ქუმსიშვილს გონიერება ეყოს და გადადგეს, – ამბობს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მისი განმარტებით, აქციები მინისტრის გადადგომამდე გაგრძელდება. წინააღმდეგობის მოძრაობას მომავალი ღონისძიებაც დაგეგმილი აქვს.

– როცა ამ მოძრაობას ვიწყებდით, ვთქვით, რომ მანამდე არ გავჩერდებით, სანამ მინისტრი არ გადადგება. ახლაც იგივეს გავიმეორებ, ჩვენ მანამდე არ გავჩერდებით, სანამ ფინანსთა მინისტრი თანამდებობას არ დატოვებს. ჩვენ უკვე მოფიქრებული გვაქვს, როგორი იქნება მომდევნო აქცია. დეტალებს წინასწარ არ გავამხელ, არ გვინდა, რომ ის ამას მომზადებული დახვდეს, – ამბობს ლევან ხაბეიშვილი.

მისივე განმარტებით, წინააღმდეგობის მოძრაობის მიზანი მინისტრებისთვის მაქსიმალური დისკომფორტის შექმნა იქნება.

– ამ ხელისუფლებამ ხალხს დიდი დისკომფორტი შეუქმნა. ახლა თავად მოუწევთ ამ დისკომფორტში ცხოვრება. ქუმსიშვილს მივაკითხავთ ყველგან, იქნება ეს სამინისტრო, სახლი თუ ოფიციალური შეხვედრები. იგივეს ვპირდებით სხვა თანამდებობის პირებსაც, – განმარტავს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.







# მერაბიშვილი ციხიდან ზაფხულში გამოვა?

## ნაციონალებს ახალი გენერალური მდივნის არჩევა მოუწევთ

შორენა მარსაგიშვილი

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და სააკაშვილის მიერ ქვეყნის ხერხემლად მონათლული ვანო მერაბიშვილი პოლიტიკიდან მიდის. ამ ეტაპზე ის არანაირ აქტიურობას არ გეგმავს. რიგი მიზეზების გამო, მან პარტიის გენერალურ მდივნობაზეც უარი თქვა.

უარის მიზეზების გასარკვევად მასთან ციხეში გუშინ, 23 იანვარს, ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ნიკა მელია შევიდა.

ციხიდან გამოსულმა მელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მერაბიშვილი პარტიის გენერალური მდივნის პოსტს ოფიციალურად აღარ იკავებს. მელიას თქმითვე, თანამდებობის დატოვება მერაბიშვილის პირადი გადაწყვეტილებაა.



რაც შეეხება მერაბიშვილის პარტიაში დარჩენა-წასვლის საკითხს, მელიას ინფორაციით, ამაზე გადაწყვეტილებას მერაბიშვილი სტრასბურის სასამართლოს სხდომის შემდეგ მიიღებს

– ის ამჟამად ელოდება სტრასბურის სასამართლოს დიდი პალატის სხდომას, სადაც მისი საქმე განიხილება. ამის შემდეგ ვანო მერაბიშვილი თავად გააკეთებს პოლიტიკურ განცხადებას, – განაცხადა მელიამ.

მერაბიშვილისგან განსხვავებით, ნაციონალები სტრასბურის სასამართლოს ვერ დაელოდებიან. ახალი გენერალური მდივნის არჩევა რამდენიმე დღეში მოხდება. არ არის გამორიცხული, ეს თანამდებობა საერთოდ გაუქმდეს.

– ეს არის პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადასაწყვეტი, ვინ იქნება ნაციონალური მოძრაობის ახალი გენერალური მდივანი ან საერთოდ გაუქმდება თუ არა პარტიაში ეს პოზიცია. ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას მე ვერ მივიღებ. პოლიტიკური საბჭოს სხდომა უახლოეს დღეებში გაიმართება ცენტრალურ ოფისში და გადაწყვეტილება ადგილზე იქნება მიღებული, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ნიკა მელიამ.

მერაბიშვილი რომ არავის მხარეს არ გადაიხრებოდა, ამ თემაზე ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ საუბრობდა დეპუტატი ოთარ კახიძე, რომელიც ნაცმოძრაობის ყოფილი გენერალური მდივნის ადვოკატიცაა.

თავისი კლიენტის გადაწყვეტილებაზე მან კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა. ამბობს, რომ ნიკა მელიასგან მას არანაირი სიახლე არ გაუგია. მისი ინფორმაციითაც, მერაბიშვილი სტრასბურის სასამართლოს ელოდება.

– ამ საკითხზე ვანო მერაბიშვილთან საუბარი არ მქონია. ერთი ის ვიცი, რომ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას არ აპირებს, ვიდრე არ დასრულდება სტრასბურში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში მისი საქმის განხილვა. ჩემთვის მერაბიშვილის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, არ გამკვირვებია, – განაცხადა კახიძემ.

ერთ-ერთი მოსაზრებით კი მერაბიშვილი სამუდამოდ გაერიდა პოლიტიკას და ციხიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოდან წასვლას გეგმავს.

* * *

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ამტკიცებს, რომ რამდენიმე თვეში მერაბიშვილი ციხიდან გამოვა.

– მერაბიშვილს ზაფხულამდე გამოუშვებენ. ამას მოწმობს ნაციონალური მოძრაობის გენსეკობაზე უარის თქმა. მან ამ საქციელით ივანიშვილს პრაქტიკულად მონობა შეჰფიცა. ვანო სააკაშვილს გაერიდა! დარწმუნებული ვარ, დასაჩუქრდება კიდეც, – ამბობს ალიანსის წევრი.

ამის დასადასტურებლად სადღობელაშვილს ივანიშვილის ის განცხადებები მოჰყავს, სადაც ის მერაბიშვილს აქებს. ეს განცხადება ივანიშვილმა პრემიერის თანამდებობაზე ყოფნის დროს გააკეთა.

ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ წარსულში ვანო მერაბიშვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მერაბიშვილი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა, მან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა მასთან.

– შემიძლია გავიმეორო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ვანო მერაბიშვილი ერთ-ერთი მოაზროვნე ადამიანია. მაგრამ, როგორც მერაბიშვილი, ასევე ადეიშვილი და მრავალი სხვა პოლიტიკოსი, ჭეშმარიტ გზასაა აცდენილი და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ. მართლაც გონიერი ადამიანია მერაბიშვილი და ის სწორ გზაზე მდგომი აუცილებლად გამოადგება თავის ქვეყანას, – განაცხადა პრემიერობისას ივანიშვილმა.

# ნინო ბურჯანაძე: „საქართველოში მიწის უცხოელებზე გასხვისება უნდა აიკრძალოს“



პარტია დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე საკონსტიტუციო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ისაუბრა.

ბურჯანაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კომისიაში ოპოზიციის ხედვა მინიმალურად ყოფილიყო წარმოდგენილი და გადაწყვეტილების მიღებისას ერთმნიშვნელოვნად ჰქონოდა გარანტირებული ხმების უმრავლესობა, „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულმა მოძრაობამ“ მაინც მიიღო გადაწყვეტილება, წარმოედგინა უმნიშვნელოვანესი ინიციატივები საკონსტიტუციო ცვლილებების სხვადასხვა მიმართულებით.

– მე და ჩემს თანაგუნდელებს გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც ეხება როგორც საარჩევნო სისტემას, ასევე ქვეყნის მოწყობისა და პრეზიდენტის არჩევის წესს. ცხადია, ჩვენ კვლავ აუცილებლად დავაყენებთ საკითხს ქვეყნის უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ამჯერად „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ გამოდის კიდევ ერთი ინიციატივით, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მომავალთან.

– ჩვენი ქვეყნის რესურსები უნდა მოხმარდეს უპირველეს ყოვლისა ჩვენს მოქალაქეებს და თუ ეს არ შელახავს საქართველოს მოქალაქეების კანონიერ ინტერესებს და საქართველოს სუვერენიტეტს, მხოლოდ შემდეგ შეიძლება იქნეს ეს რესურსები გამოყენებული ნებისმიერი უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის. ინიციატივა ეხება საქართველოში მიწის გაყიდვის აკრძალვას. მიწა გახლავთ ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი და უმთავრესი სიმდიდრე.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცვლილება: „მიწა, როგორც სასიცოცხლოდ და სტრატეგიულად აუცილებელი, შეუცვლელი, გაუმრავლებელი და მილევადი რესურსი, საკუთარი შთამომავლობის გარანტირებული საკვები ბაზა, საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს“.

ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ საქართველოში კატეგორიულად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, აიკრძალოს მიწის გასხვისება უცხოელებზე, საქართველოში მიწა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ

**ნიუსპრესი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ანზორ წოწონავა: „ნაციონალებმა გადააყირავეს კონსტიტუცია, რომლის შეცვლასაც ახლა ცდილობენ“

## „პარლამენტში უნდა იყოს ადგილები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებისთვის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე **ანზორ წოწონავას** ესაუბრა.

***– საკონსტიტუციო კომისიის თემატური ჯგუფები უკვე შეუდგნენ მუშაობას. არის იმედი, რომ ქვეყნის კონსტიტუცია უკეთესობისკენ შეიცვლება?***

– ამის იმედი ბევრს გვაქვს. აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ კომისიის მუშაობაში. იმაზე, თუ რა შესწორებები იგეგმება, ჩვენც გვაყენებენ საქმის კურსში. ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადებების შეთავაზების უფლება სხვებსაც გვაქვს.

***– ადრე გვითხარით, რომ საარჩევნო ცვლილებებამდე უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საკითხების მოწესრიგება.***

– დიახ. ჯერ უნდა დავადგინოთ, როგორი სახელმწიფო გვინდა, რამდენი ქალაქი და რაიონია ქვეყანაში, როგორია ცენტრის, რეგიონების, რაიონების უფლებამოსილებები. რაიონები კანონით უნდა განვსაზღვროთ. დეპუტატი უნდა ჰყავდეს ყოველ რაიონს. ასეთ შემთხვევაში ყაზბეგს, თიანეთს და დუშეთს ერთი მაჟორიტარი არ ეყოლება, როგორც ეს ჩვენს რეალობაშია.

***– მაჟორიტარული სისტემა გასაუქმებელი არ არის?***

– პოლიტიკოსები მოითხოვენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, აცხადებენ, თითქოს მაჟორიტარები კორუმპირებულები და არაფრისმაქნისები არიან. ამ შეფასებებს არ ვეთანხმები. ვენეციის კომისიის თავმჯდომარეც აცხადებს, რომ მაჟორიტარული სისტემა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს.



მაჟორიტარების არსებობას ითვალისწინებს ორპალატიანი პარლამენტი. კერძოდ, სენატი უნდა დაკომპლექტდეს მაჟორიტარებით. ორპალატიანი პარლამენტის შესახებ ჩანაწერი არსებობს, მაგრამ ის ვერ ავამოქმედეთ. ორპალატიანი პარლამენტი გულისხმობს ჯანსაღ ოპონირებას პალატებს შორის. ერთის მიერ მიღებულ კანონპროექტს იხილავს მეორე პალატა. პროპორციულ სისტემასაც აქვს ხარვეზები – ხშირად არ ვიცით, ვინ აღმოჩნდება საკანონმდებლო ორგანოში.

***– ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო დაუკავშირეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.***

– ჩვენ მაშინ არ ვიყავით მზად იმისთვის, რომ აფხაზებისთვის რეალური გადაწყვეტილება შეგვეთავაზებინა და შესაბამისი ჩანაწერი გაგვეკეთებინა. ახლა ვმსჯელობთ აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსზე. სამწუხაროდ, კანონმდებლობა, რომელიც მიიღეს აჭარის ავტონომიის თაობაზე, ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს. აფხაზეთის მიმართ იმავე შეცდომებს ვერ გავიმეორებთ. საუბარია აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსზე, ანუ ფართო უფლებებზე.

***– ანექსირებული ტერიტორიების დეპუტაციებისთვის ადგილები პარლამენტში ისევ აქტუალურია?***

– რასაკვირველია. მაშინ, როცა პარლამენტის დეპუტატების რაოდენობა 150-მდე შეამცირეს, უნდა დაეტოვებინათ ცარიელი ადგილები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებისთვის. აფხაზეთს 8 მანდატი ეკუთვნის, ცხინვალის რეგიონს კი – 4. ნაციონალურმა მოძრაობამ 2004 წელს არა მარტო გაგვიშვა აფხაზეთის დეპუტაცია პარლამენტიდან, არამედ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ადგილებიც არ დატოვა. ამით გაახარა რუსეთი, რომელიც ყოველთვის ჩვენი, ანუ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების წინააღმდეგი იყო.

2004 წლამდე საქართველოს პარლამენტში 14 კაცი ვიყავით აფხაზეთიდან – 4 მაჟორიტარი და 10 პარტიული სიით წარმოდგენილი. აქედან 2 აფხაზი – ადა მარშანია და კოტე სალია. 1992 წლის პარლამენტში უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილი რეგიონები, თუმცა, მაშინაც თბილისი შეადგენდა 65%-ს.

მომავალ პარლამენტებში დედაქალაქი უკვე 80%-ით იყო წარმოდგენილი. იმ 20%-საც უმთავრესად შეადგენენ თბილისში მცხოვრები ადამიანები. ეს სწორი არ არის. რეგიონები უნდა იყვნენ პარლამენტში.

ისევ დღის წესრიგშია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ეს კანონი თავიდანვე არასრულყოფილი იყო.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მასში არაა მოცემული ოკუპირებული ტერიტორიისა და ოკუპანტის ცნება. ჩვენ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ასეთი შესწორებები პარლამენტში წარვადგინეთ, მაგრამ საქმე პირველი მოსმენის იქით არ წასულა. ამ კანონით ზარალდებიან აფხაზეთიდან სხვა ქვეყნებში წასული და შემდეგ მობრუნებული ქართველები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

***– ნაციონალური მოძრაობისა და მისი განაყოფების წევრები აცხადებენ, რომ „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციაში ცვლილებები საკუთარი ინტერესებისთვის სჭირდება.***

– სწორედ ნაციონალებმა გადააყირავეს კონსტიტუცია, რომლის შეცვლასაც ახლა ცდილობენ. 2012 წელს „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ კონსტიტუციას ვერაფერი მოუხერხა. მას არ ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, პარლამენტში მყოფი ნაციონალები მას ყველანაირად ხელს უშლიდნენ.

სხვა საკითხების გარდა, კონსტიტუციამ უნდა მოაგვაროს ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების პრობლემა. სააკაშვილის ახირებით კონსტიტუცია ამ მხრივაც სრულიად არეულია. საუბედუროდ, ეს ყველამ არ იცის. ხალხი იჯერებს იმას, რასაც აწვდის რუსთავი 2. ამ ტელევიზიის დეზინფორმაციის თანახმად, თურმე, კარგი კონსტიტუცია გვქონია, რომლის გაუბედურებაც „ქართულ ოცნებას“ უნდა. ეს ტელევიზია არ ახსენებს არც სააკაშვილის მიერ გამრუდებულ კონსტიტუციას და არც იმას, რომ მისმა რეჟიმმა ნახევარ მილიონ ადამიანს წაართვა თავისუფლება, სიცოცხლე და ქონება.

# ვახტანგ მაისაია: „ტრამპის მთავარი მეტოქე იქნება ჩინეთი და არა — რუსეთი“

გულიკო ბალაძე

ამერიკის პრეზიდენტად ტრამპის არჩევა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გააპროტესტეს. მათ შორის, საქართველოშიც გაიმართა აქცია, სადაც მისი პოლიტიკა გააკრიტიკეს.

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ ტრამპი არის ქარიზმატული ფიგურა, რომელიც ერთი ხელის მოსმით, ეპატაჟურად, არსებული წესების ნგრევას ახდენს.

– ტრამპის მთავარი მოწინააღმდეგე იქნება ჩინეთი და არა – რუსეთი. ამერიკის საგარეო პოლიტიკური დაპირისპირების ცენტრი გადაინაცვლებს ახლო აღმოსავლეთიდან წყნარი ოკეანის მიმართულებით. ტრამპს სურს, დაძაბულობის ცენტრი ევროპიდან და სირიიდან გადაიტანოს წყნარი ოკეანის მიმართულებით და იქ მოახდინოს ამერიკული ინტერესების კონცენტრაცია. შესაბამისად, შეიძლება ჩინეთი გახდეს დაპირისპირების მთავარი ზონა, – განაცხადა **ვახტანგ მაისაიამ** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– ამერიკის პრეზიდენტად ტრამპის მოსვლამ რატომღაც აღაშფოთა მთელი მსოფლიო. ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც საპროტესტო აქციები გაიმართა. პრობლემა ტრამპის გამონათქვამებში ან პოზიციებშია თუ, უბრალოდ, ის არ მიეკუთვნებოდა ამერიკისა და, საერთოდ, მსოფლიოში წარმოჩინებულ პოლიტელიტას და ამიტომ არ მიიღეს?***

– ჯერ ერთი, არა მგონია, უმრავლესობა უპირისპირდებოდეს ტრამპს, თუნდაც თავისი პოზიციისა და გამონათქვამების გამო. ტრამპმა დაარღვია ის წესები, რომლებიც წლების წინ ჩამოყალიბდა. ადამიანი ერთი ხელის მოსმით, ეპატაჟურად არსებული წესების ნგრევას ახდენს. ზოგს არ მოეწონა არსებული სისტემის დანგრევა ასეთი ემოციური გზით.

***– მე არ მახსოვს, ამერიკის მომავალ პრეზიდენტს წინა პრეზიდენტი ინაუგურაციაზე რომ ეკრიტიკებინოს. ინაუგურაციაზე ობამას აკრიტიკებდა.***

– ტრამპი მაინცდამაინც ობამას არ აკრიტიკებდა. ინაუგურაციამდე გააკრიტიკა ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

***– რომელმაც არ მიიღო ტრამპი.***

– პრინციპში ასეა და ტრამპმაც ისინი გააკრიტიკა. ფაქტობრივად, წარმოაჩინა, რომ მას სურს, ხალხს დაუბრუნოს ძალაუფლება, რომელიც პოლიტიკურმა ელიტამ წაართვა ამერიკის მოსახლეობას. მისი საინაუგურაციო სიტყვა იყო ულტრანაციონალური, რაც არ არის მიღებული ამერიკის პრეზიდენტების რიტორიკაში. მან, გარკვეულწილად, წარმოაჩინა საგარეო-პოლიტიკური მომენტებიც, ნეოიზოლაციონისტური ელემენტების ჩათვლით. თქვა, რომ ამერიკა არ ჩაერევა არც ერთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, ვინმეს ჭკუას არ ასწავლის და შეეცდება, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობით მიიღოს ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო.

***– როგორ მიიღებს ძლიერ და გავლენიან სახელმწიფოს?***




– მისთვის მთავარია ეკონომიკური მომენტი – მან თქვა, რომ მთელი ამერიკა ხარჯავდა თანხას არა თავისთვის. ის გამოვა სავაჭრო ხელშეკრულების გარკვეული ნაწილიდან. მისი მთავარი იდეა იქნება ამერიკაში შიდა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, ნაციონალური ეკონომიკის აღორძინება-განვითარება. ეს მომენტი მან საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთა საგარეო-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე.

***– რა ელოდება ნატოსა და ევროკავშირთან ამერიკის ურთიერთობებს? ნეოიზოლაციონისტური პოლიტიკა ამ მიმართულებითაც განივრცობა?***

– ნეოიზოლაციონიზმი დაიწყება. ობამას პერიოდში იყო ჩართულობა გლობალურ დონეზე. ობამამ განახორციელა ამერიკული გლობალური დომინანტობის მიღწევის საგარეო პოლიტიკური კურსი, რაც, ფაქტობრივად, ჯორჯ ბუში უმცროსმა დაიწყო და განავითარა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ. ამ მაღალი, გლობალური ჩართულობის ფონზე, უცებ მოხდა ასეთი მკვეთრი შემობრუნება 360 გრადუსით. ამან ყველა დააბნია. თუ აქამდე ამერიკა ჩართული იყო მსოფლიოში ყველა საბრძოლო კერაში, დაწყებული აფრიკიდან, დამთავრებული პოსტსაბჭოთა სივრცით, ახლა ტრამპის გადაწყვეტილებაა, შეაჩეროს პირდაპირი ჩარევა სხვა რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებში, ამან გამოიწვია შოკი.

***– თუ არ ჩაერევა, როგორ იქნება ლიდერი?***

– საქმეც ესაა. ყველა ფინანსურ ჩართულობაზე უარს იტყვის. ასევე უარს იტყვის ყველა კონფლიქტში ჩართვაზე – ავღანეთში, სპარსეთის ყურეში, ახლო აღმოსავლეთსა თუ სხვა არეალებში, თანხების გადატვირთვა მოხდება ამერიკის შიდა პრობლემების ჩაქრობის მიზნით. მიხედავს საკუთარ პრობლემებს და ამით შეეცდება, თავისი ძლიერება აჩვენოს. ესეც საინტერესო მომენტია. შემთხვევითი არ არის, რომ ტრამპი შეხვდა სამხედროებს, ასევე შეხვდა სპეცსამსახურის წარმომადგენლებს. ამით ტრამპმა მათ დაუდასტურა თავისი პატივისცემა.

***– ასეთი შეხვედრები რაზე მიგვანიშნებს?***

– ყველა ტიპის წარმომადგენელი ტრამპის გაპრეზიდენტებას ეწინააღმდეგებოდა. ამერიკის სპეცსამსახურებმა, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თამადობით, დაიწყეს გადაწყვეტილების აღსრულება, რომ ტრამპმა რუსული ჰაკერული შეტევის შედეგად გამარჯვება მოიპოვა. ფაქტობრივად, ეს იყო არაფორმალური პოლიტიკური გადატრიალების მცდელობა.

***– ტრამპი, გარდა რუსეთისა, მსოფლიოში ყველას დაუპირისპირდა. მათ შორის ჩინეთსაც. ტაივანის პრეზიდენტთანაც ჰქონდა სატელეფონო საუბარი.***

– დიახ, ის მიიწვია ინაუგურაციაზე. ამით ჩინეთთანაც დაძაბა ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრამპის მთავარი მოწინააღმდეგე იქნება ჩინეთი და არა – რუსეთი. ამერიკის საგარეო პოლიტიკური დაპირისპირების ცენტრი გადაინაცვლებს ახლო აღმოსავლეთიდან წყნარი ოკეანის მიმართულებით. ტრამპს სურს, დაძაბულობის ცენტრი ევროპიდან და სირიიდან გადაიტანოს წყნარი ოკეანის მიმართულებით და იქ მოახდინოს ამერიკული ინტერესების კონცენტრაცია. შესაბამისად, შეიძლება ჩინეთი გახდეს დაპირისპირების მთავარი ზონა.

***– ჩვენ სულ გვესმოდა, რომ ამერიკას მართავენ ინსტიტუტები. იქ პიროვნებები იმდენად არ განსაზღვრავდნენ მართვის სტილს. როგორც ჩანს, ტრამპი არ იქნება დამოკიდებული ინსტიტუტების გადაწყვეტილებებზე.***

– მართალი ხართ. ადრე სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ ამერიკის პრეზიდენტის ქარიზმა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. არც ჯორჯ ბუში უფროსი, არც ობამა და არც კლინტონი არ წარმოადგენდნენ იმ დონის ქარიზმატულ ლიდერებს, როგორიც იყო რუზველტი, რომელიც სამჯერ იყო ამერიკის პრეზიდენტი. რომ არ გარდაცვლილიყო, რუზველტს მეოთხედაც აირჩევდნენ.

ყველა გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ტრამპის ნებაზე და არა – ინსტიტუტების გადაწყვეტილებაზე. პრეზიდენტის როლი მკვეთრად გამოიყოფა. პიროვნულ გადაწყვეტილებას მიეცემა უპირატესობა. ტრამპმა ეს ელემენტებიც შემოიტანა და ამერიკა დააბრუნა პოსტცივი ომის პერიოდში.





# პოლიციასაც სჭირდება დაცვა...

ბოლო ხანებში საქართველომ დიდი ძვრები განიცადა, მოხდა ის, რასაც ხალხში სისხლის გადასხმას, განახლებას ეძახიან. საზოგადოება პოლიტიკურობანათი დაავადმყოფდა, აღარ უწევს ანგარიშს, ვინ რას, სად და როგორ ლაპარაკობს. ერთმანეთშია არეული სიმართლე და სიყალბე, ცილისწამება, თავხედობა და მლიქვნელობა, უტიფრობა და არანორმალური პატივმოყვარეობა.

„ვგონებ არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია! რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავინ შეაბერტყინებს. არც იმის მოქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელსა აქვს სირცხვილი, რომ ეგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო“ - ამბობდა სულმნათი ილია 115 წლის წინ და ეს პრობლემა დღესაც ასე ცხადად ესადაგება ჩვენს სინამდვილეს.

მართალია, ბევრი პატრიოტი ებრძვის ძილ-ღვიძილსა და ბურუსს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბევრი ჩვენგანი (მათ შორის პოლიციელიც) კითხულობს, როდემდე გასტანს ეს ამბავიო!

ამ ათწლეულში ბევრმა ნაძირალამ მოისხა ქვეყნის გადამრჩენის ნაბადი და თავის ბინძურ თითს იქნევს ტრიბუნიდან. როგორი სახელმწიფოც გვაქვს, ისეთივეა მისი ძირეული რგოლებიც, მაგრამ ყველაფერი, რაც გვჭირს, პოლიციას რომ გადააბრალო, უდიდესი მკრეხელობა იქნებოდა.

სავალალო და სამწუხაროა, რომ ბევრი ვერ ხედავს და არც უნდა დაინახოს პოლიციელთა დადებითი როლი სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში, შორიდან შესცქერის ქურდებსა და კაცის მკვლელებს იმის შიშით, რომ ხვალ-ზეგ ჩემი დამცველი არავინ იქნებაო.

კარგად გვახსოვს ყველას ჩვენი პოლიცია, მუდამ ლანძღვის ობიექტი, დათრგუნული, უფლებააყრილი და გაწამებული. როგორც მთელი ქვეყნისათვის, ისე პოლიციისათვისაც ძნელბედობის ხანა იყო. ქვეყანაში დათარეშობდნენ სხვადასხვა შეიარაღებული ე.წ. ფორმალები და არაფორმალები, ფაქტობრივად კი ყაჩაღები და მკვლელები. თქვენ თვითონ განსაჯეთ, 90-იან წლებში კრიმინალებთან შეტაკებისას დაიღუპა 500-ზე მეტი პოლიციელი. ბოლო პერიოდში არაერთმა პოლიციელმა გაწირა თავი. პირიქით კი, ვინმეს თავი გაეწიროს პოლიციელისათვის, არ მომხდარა.

ერთი ამბავი მახსენდება, ქუთაისიდან მომავალ მიკროავტობუსში, მგზავრებთან ერთად ყაჩაღებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც მოქალაქეთა ძარცვით დაკავდნენ. ავტობუსში 28 წლის სამოქალაქო ტანსაცმლიანი პოლიციელი იჯდა, გულმა არ მოუთმინა და ერთი ყაჩაღის განიარაღება შეძლო, მაგრამ მეორემ სასიკვდილოდ გაიმეტა. ხომ შეეძლო ვინაობა არ გაემჟღავნებინა და თავი გადაერჩინა. პოლიციელს, რომელიც ჩვენს დასაცავად სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს, რატომ არ უნდა ჰქონდეს ვინმეს დახმარების იმედი? კიდევ ერთი პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას ჰქონდა ადგილი ამა წლის 11 იანვარს ღამით ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე. პოლიციელი დაჭრეს იმისათვის, რომ მან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ მოქალაქეებს კანონის შესაბამისი მოქმედებისაკენ მოუწოდა. სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტი არ გამხდარა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი, არც მასმედიას შეუწუხებია თავი. უნებურად გამახსენდა გირგვლიანის საქმე, არ მინდოდა მასზე მესაუბრა, მაგრამ სიმართლე უნდა იცოდეს ყველამ; პირადად ვხელმძღვანელობდი ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფს, რომელთა მონდომებითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად „ცხელ კვალზე“ გაიხსნა აღნიშნული საქმე, ამაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ დღესაც ბევრი, მათ შორის სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებიც, სწორედ გირგვლიანის თემით სპეკულირებენ. საინტერესოა თუ სად იყვნენ ისინი იმ დროს, როდესაც მათი გვერდში დგომა სჭირდებოდა ამ საქმეზე მომუშავე პოლიციელებს. გვერდში დგომას ვინ ჩივის, სამწუხაროდ, დღემდე არავის გახსენებია ისინი. სწორედ ამაზეა ნათქვამი, უმადურობა ყველაზე ცუდი მეგობარია ყველა დროში.

დღეს ვისაც გაუჭირდება, პოლიციაში მირბის დახმარებისათვის. ხალხს პოლიცია გაჭირვების დროს სჭირდება. ბევრ ხელმძღვანელსაც არ ეხატება ისინი გულზე, ეს არცაა გასაკვირი, დასაჭერთა თუ დაჭერილთა შორის ბევრი ხომ მათი ნათესავი, ახლობელი, ოჯახის წევრიცაა. დამსჯელი, დამჭერი ორგანოს მუშაკი როდის უყვარდათ, დღეს რომ უყვარდეთ. თუმცა უფრო შორს გავიხედოთ, ასეთი ორგანო ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხის სიმპათიითაც კი სარგებლობს.

თუმცა რომელ სიმპათიაზე და მათი ამაგის დაფასებაზეა საუბარი, როდესაც პოლიციის უნიათობაზე საუბრობენ იმ ხეობის მცხოვრებლები (კერძოდ, საუბარია პანკისის ხეობაზე), სადაც კრიმინალებთან ბრძოლაში არაერთი პოლიციელი დაიღუპა და დღეს რომ ხეობაში სიმშვიდეა, ეს ნამდვილად პოლიციის დამსახურებაა, ეს ხომ ფაქტია, ამას ვერავინ უარყოფს. თუმცა, ამ დღეებში გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული წერილში „პანკისი სირია არ გახდება“ ხანგოშვილის მიერ პოლიციის მისამართით გამოთქმულმა პრეტენზიებმა ძალიან დამაფიქრა.

დანაშაული იმ დევსა ჰგავს, რომელსაც მოკვეთილის ნაცვლად ახალი თავი ამოსდის და ვერასოდეს დაამარცხებ, თუ მისი ბინძური სული არ გაანადგურე. არადა, დანაშაულის ბინძური სულის განადგურების დიდი გამოცდილება აქვს ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს. კერძოდ, ტელევიზიას და ასევე ჩვენს საზოგადოებრიობასაც, ოღონდ ამას გახსენება და გამოყენება უნდა. სხვა რომ არა, დავასახელოთ თუნდაც: „კაკაბეთის ზარები“, „რისხვით შეკრული მუშტი“ „ტალღა“, „მოიპარეს ბიჭები“, „ცოდვის შვილები“, „მივლინება ჯოჯოხეთში“ და სხვა სატელევიზიო ფილმები და გადაცემები რომლებმაც ბოროტებას უკან დიდი ხნით დაახევინეს.

არც ერთი მათგანი არ შექმნილა სენსაციისა და სანახაობათა მოყვარულთათვის, თითოეულ გადაცემას საფუძვლად დაედო სატელევიზიო გადაცემები, რომელშიც მოსახლეობის გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ერის სახელოვანი ადამიანები – თვალსაჩინო მეცნიერები, პრაქტიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. ისინი, ვის სიტყვასა და აზრს ანგარიშს უწევდა მთელი ქვეყანა.

საუბარია, 1978-79 წლებზე, როდესაც ქვეყანაში მთელი ძალით იფეთქა მანამდე გაუგონარმა დანაშაულებრივმა ფაქტებმა, კერძოდ, ფულის გამოძალვის მიზნით ბავშვის გატაცებებმა. დაფიქსირებული იყო 16 ასეთი შემთხვევა.

ამ გაუგონარ დანაშაულს მთელი საზოგადოების ფეხზე დადგომა და ხალხის რისხვა თუ შეაჩერებდა.

დღესაც კარგად მახსოვს კაკაბეთში გამართული ხალხმრავალი და ამაღელვებელი ყრილობა, მოსახლეობამ რისხვა დაატეხა თავის ულირს თანასოფლელებს, სიტყვით გამოვიდნენ ავლიპ ზურაბაშვილი, არჩილ ქურდიანი, მწერალი რეზო ინანიშვილი და სხვები.

1979 წლის 5 დეკემბერს ტელევიზიით გადაიცა ცნობილი „კაკაბეთის ზარები“, რომელსაც მეორე დღესვე მოჰყვა ვერიკო ანჯაფარიძის, ბორის პაიჭაძის და სხვა თვალსაჩინო ადამიანების გამოსვლა. ამ გადაცემებს ჩვენში მანამდე გაუგონარი რეზონანსი მოჰყვა. ავილოთ თუნდაც ასეთი ფაქტი, „კაკაბეთის ზარების“ ტელევიზიით გადაცემის მეორე დილით ბოროტმოქმედებმა მშობლებს დაუბრუნეს გამოძალვის მიზნით გატაცებული ოთხი წლის გოგონა.

ბრმაა ის ადამიანი, რომელიც ვერ ხედავს ძვრებს მომხდარს ჩვენს ცნობიერებაში, ყრუა ის ადამიანი, რომელსაც არ ესმის ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების – თავისუფლებისადმი მისწრაფება.

საბრალოა ის კაცი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ცხოვრების ჩარხი ისევ უკან დატრიალდება და ამით სარგებელს ნახავს.

ერთი სიტყვით, დრო წინ მიდის, მიდის უკან მოუხედავად, ჩვენ კი ზნეობისაგან დაშორებულ შვილებს, რომლებსაც ურწმუნოება და უიმედობა დასჩემდათ, ჯერ კიდევ ვერ ვაყენებთ სწორ გზაზე.

გულახდილად ვთქვათ – გვეშინია კიდეც, წარმოვიდგინოთ, რამდენი გონიერი, ნიჭიერებით სავსე მოზარდი გზას ააცდინა გულგატეხილობამ. ახალგაზრდობის აღზრდისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ. ასე თუ გაგრძელდა და ჩვენი შეტევის ძირითადი აქცენტი მარტო პოლიციელთა ლანძღვით შემოიფარგლება, კიდევ რამდენი მესამე უზნეო შვილის ნათელი თვალი და გონება დაბინდდება, ჯანსაღი სხეული მოცდება და ნარკომანიასა და ალკოჰოლის მსხვერპლი გახდება. ნარკომანია, აქ იმიტომ ვახსენე, რომ ბოლო პერიოდში ნარკომომხმარებელთა რაოდენობა 15%-ით გაიზარდა. საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო რეგიონში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. შემაშფოთებელია, რომ ასეთ მძიმე ნარკოტიკული ფონის პირობებში ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ გარკვეული სახის ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციას. რაც ფაქტობრივად ნარკოტიკების ლეგალიზაციას ნიშნავს. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ „მარიხუანას“ ლეგალიზაცია იქნება საწყისი იმ დიდი მოუშორებელი სენისა, რასაც ნარკოეპიდემია ჰქვია. ჩემთვის საგანგაშო იყო ის ფაქტიც, რომ ამ „იდეის“ ორგანიზატორებმა ჩემი სოფელი ოტობაია, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ცუდ კონტექსტში მოიხსენიეს „მარიხუანას“ მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, ეს ასე არ არის. სოფელი ოტობაია დიდი ტრადიციების მქონეა, დღესაც ამ სოფელს სწორედ რომ ახალგაზრდები უვლიან და პატრონობენ და მათი აუგად მოხსენიება არავის ეპატიება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის სტრატეგიულ ადგილმდებარეობასაც. თუ „მარიხუანას“ მოხმარება არ დაისჯება, გამოდის, რომ არც მისი შეძენა და შენახვა იქნება დასჯადი, ვინაიდან თუ არ დაამზადა, არ შეიძინა და არ შეინახა, მაშინ არც მოხმარება გვექნება, რაც არა გვაქვს, იმას ვერ მოიხმარ და დეკრიმინალიზაციაც არ გახდება საჭირო. შეიძლება ბევრი შემომედავოს, მაგრამ ამიხსენით, რას ვაკეთებთ იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკომომხმარებელი ინახავს „მარიხუანას“ მოხმარების მიზნით. აი, რაზე გვმართებს დაფიქრება ყველას, ერსაც და ბერსაც. ყველაზე დიდი დანაშაული ახალგაზრდობის აღზრდაში გვაქვს დაშვებული და ის დროულად უნდა გამოსწორდეს.

რამდენი პოლიციელი შეეწირა საქვეყნო საქმეს, რამდენია ღირსეული; აბა, ერთი მხატვრული ნაწარმოები თუ დაწერილა პოლიციელზე, თუ რამ იწერება აქაიქ, ისიც მხატვრულად მდარე და ბანალურია. ერთადერთს, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ თუ დავასახელებთ, სადაც დიდი ოსტატობით და სიყვარულით არის გამოძერწილი პოლიციელის სახე. ასეთი ნაწარმოების გმირებს მიმბაძველები უჩნდება. ესაა მხატვრული სიტყვის ძალა, სწორედ ეს სჭირდება დღევანდელ პოლიციას.

და ბოლოს, ერთ რამეს ვიტყვი: თუ ხელმძღვანელი ხარ, უნდა იყო სამართლიანი და კაცთმოყვარე, იმდენი ვაჟკაცობა მაინც უნდა გქონდეს, რომ ღირსეული და პატიოსანი თანამშრომელი დაიცვა, დააფასო და არ აიძულო იგი, სწორედ პატიოსნების გამო დატოვოს სამსახური, რეორგანიზაციის ან სხვა მოტივით აიყვანო კადრების განკარგულებაში, შემდეგ კი „ბალასტის“ იარლიყი მიანიჭო და საერთოდ დაითხოვო პოლიციის ორგანოებიდან.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი**

**ჯემალ გაბელია**

## ზაქარია ქუცნაშვილი: „აფხაზეთში ბრძოლა ინდულგენცია ვერ იქნება“

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

ტიკულად აღიარა, რომ ქართულ მხარეს უთანამშრომლია რუსეთის მხარესთან და ეს მისთვის მისაღებია. ძალიან დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს უმრავლესობის წარმომადგენელი ასეთ განცხადებებს. ეს იყო სამარცხვინო განცხადება, პრაქტიკულად ბრალდება მისი პირითაც გაჟღერდა, რომ აქ მკვლელობასთან გვაქვს საქმე სავარაუდოდ და ეს უნისონშია რუსეთის ფედერაციასთან, – აღნიშნა მედიასთან საუბარში კახიძემ.

ამ თემაზე ხმაური ატყდა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ცერცვაძის საქმეზე ზოგიერთი პოლიტიკოსი ქულების დაწერას ცდილობს.

მან დეპუტატებს სთხოვა, ზედმეტი პოლიტიზირების გარეშე დაინტერესდნენ ამ ადამიანის ბედით.

– სახელმწიფო იცავს თავის მოქალაქის ინტერესებს, ამის შესახებ განცხადება გაავრცელა შსს-მაც, – აღნიშნა დეპუტატმა.

მას სიტყვა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ელენე ხოშტარიამ შეაწყვეტინა და ქუცნაშვილის განცხადება გაახსენა.

– მისი ეს განცხადება პირდაპირი სიგნალია უკრაინის პროკურატურისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერესებს საკუთარი მოქალაქის ბედი, – აღნიშნა ხოშტარიამ.

* * *

თავის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტება ზაქარია ქუცნაშვილმაც გააკეთა. მისი თქმით. ის გია ცერცვაძეზე არ საუბრობდა.

## იან კელი: „საქართველოსა და ამერიკას შორის ძლიერი თანამშრომლობა გაგრძელდება“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იან კელი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დამტკიცებული არაა, დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის ძლიერი თანამშრომლობა გაგრძელდება.

მისივე თქმით, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაცია მზადაა ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების გაგრძელებისთვის.

**იან კელი:**

– ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა, რაც ტრამპის ადმინისტრაციაა. არ არის დამტკიცებული სახელმწიფო მდივანი, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის ძლიერი თანამშრომლობა გაგრძელდება.

რაც შეხება ეკონომიკურ მხარეს, ტრამპის ადმინისტრაციამ უკვე გამოხატა მზადყოფნა ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების, ხელშეკრულების გაგრძელებისა, თუმცა სახელმწიფო მდივნის დანიშვნამდე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე საუბარი რთულია. საქართველოში უნდა ჩამოვიდეს ამერიკის სავაჭრო წარმომადგენელი. მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამ საკითხის ადვოკატირებაში.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ფინანსთა მინისტრის მოადგილე: „ხალხს უნდა, რომ საბანკო მომსახურებას ლარში ეწეოდეს“

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა მოქალაქეებს, რომელთაც გალარების პროგრამა ეხებათ, კიდევ ერთხელ ურჩევს, შესაძლებლობა გამოიყენონ.

ნიკოლოზ გაგუა მოსახლეობას შეახსენებს, რომ სესხების გალარების პროგრამა ერთჯერადია და მხოლოდ ორი თვე გრძელდება.

– შეღავათიანი პირობები, რომელთაც პროგრამა ითვალისწინებს, მუდმივად არ იმოქმედებს. ამდენად, პირველი რჩევა, რომელსაც ჩვენს მოსახლეობას მივცემდი, ისაა, რომ თუკი ისინი არიან გალარების პროგრამის მონაწილეებს შორის, ეს შესაძლებლობა გამოიყენონ, – აცხადებს გაგუა.

მისი თქმით, სესხების გალარების პროგრამისადმი მოსახლეობის ინტერესი დიდია.

– კომერციულმა ბანკებმა 17 იანვრიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში უკვე მოახდინეს სიახლის შესახებ იმ პირების ინფორმირება, ვისაც ეს აქცია პოტენციურად ეხება, თუმცა თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ სესხების გალარების პროგრამა მას ეხება და ამავე დროს, მომსახურე ბანკიდან არავინ უკავშირდება, ბუნებრივია, ის თავად უნდა მივიდეს ბანკში და გაეცნოს გალარების პირობებს.

პროგრამის პირველივე დღეს იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ბანკებს პროგრამის პოტენციური მონაწილეების 8 პროცენტამდე მიაკითხა. ასეთი დიდი ინტერესი არ არის გამოწვეული უბრალო ცნობისმოყვარეობით, არამედ ხალხში არსებობს რეალური მოთხოვნა, საბანკო მომსახურებას იმ ვალუტით ეწეოდეს, რომელშიც შემოსავალი აქვს.



გალარების პროგრამის მთავარი მიზანიც ხომ ისაა, რომ სავალუტო რისკი გადავიდეს მათზე, ვისაც მისი მართვა შეუძლია. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათ ეს შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ, – აღნიშნავს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამა მსესხებლებს შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლონ შეღავათიანი კურსით სესხების გალარებისას და არ გადაიხადონ სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიო.

როგორც გაგუა განმარტავს, პროგრამის მონაწილის ე.წ. განკარგვადი შემოსავალი აღარ იქნება დამოკიდებული კურსთაშორის სხვაობაზე და მას სესხის მომსახურება იმ ვალუტით შეეძლება, რომელშიც აქვს შემოსავალი.

– ლარში სესხი საშუალებას გვაძლევს, არ ვიყოთ სავალუტო კურსზე დამოკიდებული და უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ სესხის მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების პროგნოზირებადობას და, ასევე, როდესაც მსესხებელს შემოსავალიც და სესხიც აქვს ლარში, ეს უფრო ნაკლებხარჯიანია.

მას არ უწევს თანხის გადახურდავება სესხის დაფარვის დღეს და ხშირად აღნიშნულ გადახურდავებასთან დაკავშირებული კონვერტაციის საკომისიოების გადახდა. ყოველივე ეს შეიძლება იყოს საკმაოდ არსებითი (1 პროცენტი ან უფრო მეტიც). შესაბამისად, ეს გარემოება პროგრამას დამატებით მიმზიდველობას სძენს, – აცხადებს გაგუა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის თქმით, კომერციული ბანკები გალარებულ სესხებს გასცემენ არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. მაგალითად, დღეის მდგომარეობით ლარით გაცემული ცვლადპროცენტიანი იპოთეკური სესხების საბაზრო პროცენტი 10%-ის ფარგლებშია.

– როდესაც გალარებაზე ვმსჯელობთ, ჩვენი პრინციპული გადაწყვეტილება იყო, რომ საპროცენტო განაკვეთები საბაზრო მექანიზმებით უნდა ყოფილიყო დარეგულირებული. ჩვენ ამ საკითხში არ ვერევით. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ლარზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ამდენად, ვთვლით, რომ საპროცენტო განაკვეთები ლარში იქნება მისაღები, – განმარტავს გაგუა და დასძენს, რომ აღნიშნული პროგრამა არ იქნება დაკავშირებული რაიმე ტიპის ხარჯებთან.

* * *

სესხების გალარების პროგრამა 2017 წლის 17 იანვარს დაიწყო და 2 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროგრამა ეხება ფიზიკურ პირზე 2015 წლის 1 იანვრამდე აშშ დოლარში გაცემულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს. მთავრობა უზრუნველყოფს სესხების გალარებას შეღავათიანი კურსით, რომელიც შეადგენს კონვერსიის დღეს არსებულ პუნქტს მინუს 20 თეთრი 1 აშშ დოლარზე. სუბსიდია არ შეეხება მაღალი შემოსავლების მქონე პირებს, ანუ ვისი წლიური შემოსავალი 2015 წელს 100,000 ლარზე მეტი იყო ან ვისი სესხის ნარჩენი ოდენობა აღემატება 100 ათას აშშ დოლარს.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

**ბიპიენი**

# 2016 წელს მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 347,3%-ით მეტი დახარჯა

## „ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა ვერ გეგმავს ბიუჯეტს“

მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 2016 წელსაც დაგეგმილზე მეტი დახარჯა. ბიუჯეტის კანონის მიხედვით, შარშან მთავრობის სარეზერვო ფონდისთვის გათვალისწინებული იყო 50 მლნ ლარი, არადა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, საკასო ხარჯი 172 872 654 ლარს შეადგენს, გამოყოფილი თანხის მოცულობა კი – 173.653.762 მლნ ლარია.

შედარებით მოკრძალებულად დაიხარჯა თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან. ბიუჯეტის კანონით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ბიუჯეტი 2016 წელს 5 მილიონ ლარს შეადგენდა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით კი შარშან სულ 4.860.104 ლარი დახარჯა.

პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხა გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისთვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები.

ერთი შეხედვით, ფონდების დანიშნულება ნათელია, თუმცა სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს შორის მთავარი სწორედ მათი დანიშნულების კანონით მოცემული დეფინიციაა. „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევისა“ და „გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯის“ ცნებები იმდენად ზოგადია, რომ იქ ყველა სფერო და კატეგორია შეიძლება მოექცეს.

მაგალითად, წინა ხელისუფლების დროს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ფინანსდებოდა უცხოელი მომღერლების კონცერტები, ქანდაკებების დამზადება, ასევე ბულვარების მშენებლობა და სპექტაკლების დადგმა. მაშინ მთავრობაში ამბობდნენ, რომ ასეთი ღონისძიებების დაფინანსება ქვეყნის იმიჯისთვის ხდებოდა.

თუმცა პრობლემას არა მარტო ფონდებიდან დაფინანსებული პროექტები, არამედ ზოგადად ხარჯვითი ნაწილი და მისი დაგეგმვა წარმოადგენს.



როგორც წინა, ასევე მოქმედი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში სარეზერვო ფონდების ხარჯვითი ნაწილი ყოველთვის ბიუჯეტის კანონში გათვალისწინებულ თანხას აჭარბებდა და თანაც მუდმივად მზარდი იყო. თუ წინა ხელისუფლების დროს ფული, ძირითადად, პრეზიდენტის ფონდიდან იხარჯებოდა, ახლა ეს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხდება.

როგორც ჩანს, მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები და, შესაბამისად, საკასო ხარჯი ყოველწლიურად იზრდება და თანაც ისე, რომ ბიუჯეტში გაწერილ თანხას ერთიორად აღემატება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარშან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 172.872.654 მლნ ლარი და ეს მაშინ, როცა ბიუჯეტში გაწერილი იყო 50 მლნ ლარი.

იურისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხარჯვა უკვე წლებია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

როგორც წინა მთავრობის შემთხვევაში, ამჟამადაც სარეზერვო ფონდიდან გადახარჯვას იწვევს ის, რომ მხარჯავი დაწესებულებები ვერ გეგმავენ საკუთარ ბიუჯეტს, რის გამოც ხშირად დგება დაუგეგმავი ხარჯის გაწევის აუცილებლობა, რაც შემდეგ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება.

მისივე განცხადებით, ბოლო წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ხარჯვა არ სცილდება ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ზედა „ჭერს“, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კი აშკარად სცილდება.

წინა ხელისუფლების დროს ორივე შემთხვევაში იყო პრობლემა როგორც პრეზიდენტის, ასევე მთავრობის სარეზერვო ფონდის კუთხით.

– მთავრობა ვერ გეგმავს კარგად ბიუჯეტს, ეს არის მთავარი მიზეზი, რატომაც ხდება გადახარჯვა. ეს არის არა მხოლოდ ამ ხელისუფლების, არამედ წინა ხელისუფლების დაავადება და ცდუნება, არასისტემურად ეხარჯათ ან არ დაეგეგმათ რეალური ბიუჯეტი, – განაცხადა ალაფიშვილმა.

ამასთან, მისი განცხადებით, იმისათვის, რომ პრობლემა მოგვარდეს, აუცილებელია საბიუჯეტო კოდექსით იმის განსაზღვრა, რომ სარეზერვო ფონდებიდან ხარჯვა მოხდეს მხოლოდ ფორსმაჟორის შემთხვევაში და არა გაუთვალისწინებელი ან დაუგეგმავი ხარჯების დაფინანსების ფორმით.

**კომერსანტ.გე**

# იანვარში საქართველოში საკვები პროდუქციის ფასები 10,1%-ით გაიზარდა

იანვარში საქართველოში საცალო პროდუქტების ფასები გაიზარდა.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, ფასების ინდექსი მკვეთრად გაიზარდა და ზრდამ 10,1% შეადგინა.



ფასების მატების მიზეზად სახელდება როგორც ლარის გაუფასურება, ასევე საახალწლო პერიოდი.

ყველაზე მეტად ფასმა ღორის ხორცზე მოიმატა და ზრდამ 35% შეადგინა, 35%-ით მოიმატა ფასმა სტაფილოზეც, პომიდორზე კი – 34%-ით. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა ხილის ფასებიც.

თუმცა წინა წლის იანვართან შედარებით, პროდუქციის ფასები 6%-ით შემცირდა, რაც საერთაშორისო ბაზარზე საკვებზე შემცირებულ ფასებს უკავშირდება.

**ბიზნესკონტრაქტი**

# კოკა-კოლა: „მარკირების აპარატი დღეში 2-3-ჯერ ფუჭდება, რაც საწარმოო პროცესს აფერხებს“

– უალკოჰოლო სასმელების მარკირების აპარატი დღეში 2-3-ჯერ ფუჭდება, რაც საწარმოო პროცესს აფერხებს.

ამის შესახებ „ბიზნესკონტრაქტთან“ კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ იურისტმა პაატა გაბუნიამ განაცხადა.

მისი თქმით, მარკირების აპარატი, რომელსაც შვეიცარიული კომპანია „სიქპა“ აკონტროლებს, გაუმართავია, რაც ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნითაც დასტურდება.

– მარკირების აპარატის პრობლემა არის ის, რომ ის არის გაუმართავი, აქვს ბევრი ტექნიკური პრობლემა. თვითონ კანონში წერია, რომ შეფერხების დროს თუ 3 საათში ვერ მოახდინეს ხარვეზის აღმოფხვრა, გვაქვს უფლება, რომ არამარკირებული პროდუქცია გამოვუშვათ, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, მაშინ რატომ ვითვლით საერთოდ და რატომ ვახდენთ მარკირებას?

მექანიზმის დაზიანების ფაქტები ფიქსირდება დღეში 2-3-ჯერ და ეს 10 წუთიდან 1 საათამდე გრძელდება. ამის საფუძველზე ჩვენ მივმართეთ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს და მათ დაგვიდგინეს, რომ ნამდვილად ხარვეზით მუშაობს აპარატი, შესაბამისად, ჩვენ ვერ ვახდენთ შესაბამისი პროდუქციის გამოშვებას, რაც კომპანიის ზარალია. მით უმეტეს, რომ ჩვენთან თანამშრომლები საათობრივ ანაზღაურებაზე არიან, – აცხადებს პაატა გაბუნია.

მისი განმარტებით, სწორედ ამ მიზეზის გამო კანონი, რომელიც სავალდებულო მარკირებას ეხება, არაკონსტიტუციურია, რადგანაც საკუთრების განკარგვასა და მის რეალიზაციას უზღუდავს კომპანიებს.

ამ მიმართულებით არაალკოჰოლური კომპანიების საჩივარს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. სასამართლომ წარმოებაში უკვე მიიღო კომპანიების სარჩელის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192 -ე მუხლის კონსტიტუციურობას შეამოწმებს.

სავალდებულო მარკირების თანხას, რომელიც 1.000 ბოთლზე 5,5 ევროს შეადგენს და რომელსაც დღეს სახელმწიფო იხდის, კომპანიები გადაჭარბებულად აფასებენ.

პაატა გაბუნიას თქმით, ბიზნესი ფიქრობს, რომ ფინანსთა სამინისტრო მარკირების საფასურის გადახდაზე უარს იტყვის და ამ თანხების დაფარვა მალე თავად მოუწევთ, რაც პროდუქციას გააძვირებს.

როგორც კომპანიები აღნიშნავენ, თითოეულის მხრიდან წლიურად მარკირების გადასახადი დაახლოებით 1 მილიონი ლარი იქნება.

**სალომე მეცხვარიშვილი, ბიზნესკონტრაქტი**



# ლევან მურუსიძე: „ინსპექტორის ინსტიტუტის მომხრე არასდროს ვყოფილვარ“

## „მოსამართლეების ანგარიშვალდებულების წინააღმდეგი არ ვარ“



ნათია ხურცილავა

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღაზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, როგორია თქვენი პოზიცია პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტზე, რომელიც სასამართლო სისტემის მესამე ტალღას ეხება? საუბარია ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღებაზე, ეთანხმებით ამ ინსტიტუტის არსებობას?***

– ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ინსპექტორის ინსტიტუტის შემოსვლის სასამართლო სისტემაში, მაგრამ თუ კანონით იქნება განსაზღვრული და დადგენილი ამ ინსტიტუტის არსებობა, მაშინ კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ. თუ კანონი შეიცვლება, ჩვენც გავაკეთებთ იმას, რასაც კანონი გვეტყვის.

ინსპექტორი უნდა იქნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული. არჩეული იქნება ისეთი კანდიდატი, რომელიც არ გააჩენს კითხვის ნიშნებს. შესაბამისად, აღნიშნული კანდიდატი კანონით გათვალისწინებულ ყველა ნორმასა და მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ადრე საუბარი იყო ისეთ ფორმაზე, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხის ქვეშ აყენებდა. ახლა, არსებული მოდელის მიხედვით, არ მაქვს ასეთი განცდა, რადგან ის განსხვავდება წინა მოდელისგან. ახლანდელი მდგომარეობით, ასე თუ ისე, მაინც მისაღები არის ინსპექტორის არსებობა.

***– როგორი უნდა იყოს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ინსპექტორის შერჩევა?***

– კრიტერიუმები არსებობს კანონით განსაზღვრული და ჩვენც მისი შერჩევისას სწორედ ამ კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. საუბარია 10– წლიან გამოცდილებაზე, ასევე საუბარია, რომ უნდა გააჩნდეს კარგი ავტორიტეტი. ერთი რამ, რაც კარგი ჩაიწერა კანონში, არის ის, რომ მოსამართლეთა კონფერენციას აქვს საშუალება, რომ იმ კანდიდატურას, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო აირჩევს და დროთა განმავლობაში თუ არ გაამართლებს და მის მიმართ იქნება გარკვეული კითხვები, მაშინ გამოიწვიოს, ერთგვარი უნდობლობა გამოუცხადოს. მოსამართლეთა კონფერენციას ექნება შესაძლებლობა, რომ დასვას საკითხი მისი ჩანაცვლების თაობაზე. ერთგვარი დაცვითი მექანიზმი არის ჩადებული, რაც არავის მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა დარღვეული იყოს.

თავის მხრივ აუცილებელია, რომ იყოს მოსამართლის ანგარიშვალდებულება და მეორე მხრივ, დაცული იყოს მისი დამოუკიდებლობა. კანონში ერთგვარი ბალანსი არსებობს, მაგრამ ყველაფერს პრაქტიკა გვაჩვენებს.

***– რითი იყო განპირობებული ინსპექტორის შემოსვლა სასამართლო სისტემაში, თქვენ რას უკავშირებთ ამ ინიციატივას? ექსპერტები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ.***

– ზოგადად იყო საუბარი იმაზე, რომ მოსამართლეები კანონს არღვევდნენ და უნდა ყოფილიყო ისეთი ინსტიტუტი, რომელიც დასჯიდა მოსამართლეს ამ არასათანადო ქცევის გამო. სწორედ ამაზე იყო აპელირება. საუბარი იყო ანგარიშვალდებულებაზე.

***– მოსამართლე არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული?***

– მე არ ვარ ანგარიშვალდებულების წინააღმდეგი, როგორ შეიძლება ამის წინააღმდეგი ვიყო, არავითარ შემთხვევაში. ჩემი აზრით, სასამართლო საზოგადოების წინაშე არის ანგარიშვალდებული. აქ მთავარია, რომ არ დაირღვეს მოსამართლის დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დავიცვათ ბალანსი მოსამართლის ანგარიშვალდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის.

***– ბატონო ლევან, სასამართლოს თავმჯდომარეები უნდა იყვნენ თუ არა თავად მოსამართლეების მიერ არჩეული თუ, როგორც ახლა არის, უნდა ინიშნებოდნენ? მესამე ტალღის ფარგლებში ეს საკითხი კვლავ გადაიდო, მაგრამ საინტერესოა, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობას რამდენად შეუწყობს ხელს თავმჯდომარეების არჩევითობა?***

– საუბარი იყო სასამართლოს თავმჯდომარეების ლოტოტრონით არჩევაზე. წარმოგიდგენიათ, ეს რას გამოიწვევს?! ჩვენ ისეთი რაღაც არ უნდა გავაკეთოთ, რაც არც ერთ ქვეყანას არასდროს გაუკეთებია. პირიქით, ევროპული, დასავლური ქვეყნების წარმატებული გამოცდილება უნდა გადმოვიტანოთ და არა ისეთი რამ, რაც არასდროს არავის გაუკეთებია.

რეგიონებში გვაქვს სასამართლოები, სადაც, მაგალითად, 2-3 მოსამართლე გვყავს, იქ როგორ უნდა მოხდეს თავმჯდომარის არჩევა?! სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მენეჯერული თვისებებით, საორგანიზაციო საკითხების მოგვარების უნარით არის გამორჩეული.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საუკეთესო მოსამართლე მაინცდამაინც ამ თვისებებით იქნება გამორჩეული და ის კარგი მენეჯერი იქნება. ეს არის ისეთი საკითხი, რომელსაც სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ამ ეტაპზე მოქმედი სისტემა უნდა დარჩეს, მომავალში კი შეიძლება გადაიხედოს. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარის ლოტოტრონით არჩევას, ეს არ მგონია, გონივრული იყოს. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქვეყანას, სადაც ლოტოტრონით ხდებოდეს თავმჯდომარის არჩევა. მე არჩევითობის წინააღმდეგი ზოგადად არ ვარ, მაგრამ არა – ლოტოტრონით.

***– რეფორმის მესამე ტალღასთან დაკავშირებით მიღებულ კანონს შეიძლება პრეზიდენტმა ხელი არ მოაწეროს და ვეტო დაადოს. ზოგადად ეთანხმებით ამ კანონპროექტს?***

– მე არ ვიცი, ვეტოს დაადებს თუ არა პრეზიდენტი, ეს ბატონი პრეზიდენტის გადასაწყვეტია. შემდეგ პარლამენტი დაძლევს თუ არა მას, ესეც არ ვიცი. აბსოლუტურად არ ვფიქრობ ამ საკითხზე. თუ მიღებული იქნება ახალი კანონი, ჩვენ ვიმოქმედებთ ახალი კანონის ნორმიდან გამომდინარე, თუ ძველი დარჩება, გავაგრძელებთ ძველი კანონით. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ იმაზე, რომ ნებისმიერმა კანონმა უნდა უზრუნველყოს მოსამართლის დამოუკიდებლობა.

***– ბატონო ლევან, როდის გამოცხადდება მოსამართლეთა ახალი კონკურსი?***

– გამოვაცხადებთ ახალ კონკურსს. თუ მოგვისწრებს ახალი კანონი, შესაბამისად ვიმოქმედებთ.

***– მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები იყო განსჯის საგანი, რომ არ არსებობს რეალური კრიტერიუმები, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს შერჩევა ან დაწუნება მოსამართლის.***

– თუ ახალი კანონი იქნება მიღებული, იმ კრიტერიუმებით შევარჩევთ მოსამართლეებს, რომლებიც იქნება დადგენილი ახალი კანონის მიხედვით.

# ხელისუფლებამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მანანა კობახიძე წარადგინა




ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით პარლამენტის ბიუროს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მანანა კობახიძის კანდიდატურა ოფიციალურად წარედგინა.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის განმარტებით, მანანა კობახიძეს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევამდე იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოუსმენენ.

მისივე თქმით, სურვილის შემთხვევაში მასთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნებათ ფრაქციებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით ირჩევს. მანანა კობახიძესთან დაკავშირებით დეპუტატები გადაწყვეტილებას საგაზაფხულო სესიის დაწყებისას მიიღებენ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტ-იურისტი ლევან ალაფიშვილი მანანა კობახიძის საკონსტიტუციო სასამართლოში გადასვლის შესაძლო ფაქტს უარყოფითად აფასებს.

– აქტიურ პარტიულ პოლიტიკაში მყოფი ადამიანის გამწესება ისეთი ტიპის კონსტიტუციურ ორგანოში, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა, რომელიც სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტას კურირებს და პოლიტიკური ინტერესების გამიჯვნას გულისხმობს, რა თქმა უნდა, დამაზიანებელი იქნება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ასევე დემოკრატიის ხარისხისთვის საქართველოში, – აღნიშნა ლევან ალაფიშვილმა.

მისი თქმით, ბოლო წლების განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ, საზოგადოებამ და მათ შორის მოსამართლეებმა პოლიტიკური პროცესებისგან გამიჯვნა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება ვერ მოახერხეს.

– გასული წლების განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური თავდასხმების ეპიცენტრში იყო. სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკოსებისგან, ვერც საზოგადოებისგან და ვერც თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოსამართლეების მხრიდან ვერ მოხერხდა პოლიტიკური პროცესებისგან გამიჯვნა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა.

მისი აზრით, მანანა კობახიძის დანიშვნა გასული წლების ნეგატივს კიდევ უფრო გაამძაფრებს.

– იმ ტიპის ორგანოებისთვის, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა, საზოგადოების ნდობა უმთავრესია. თუ ამ ორგანოს არ ექნება ნდობა, არ ექნება პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და რეალური დამოუკიდებლობა, საფრთხის ქვეშ დადგება თითოეული ჩვენგანის უფლებები, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო იცავს მოქალაქეს, მათ შორის პარლამენტისა და მთავრობისგან, ან სხვა ბიუროკრატიული აპარატისგან. სამწუხაროდ, განვლილი 5 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლო კარგავს დამოუკიდებლობას და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, რაც დემოკრატიის ხარისხისთვის დამაზიანებელია, – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა ნიუპოსტთან საუბრისას.

# რუსთავში გაზით 6 ადამიანი მოიწამლა




რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 6 ადამიანი მოიწამლა. მოწამლულებს შორის 4 მცირეწლოვანია.

შემთხვევა 22 იანვარს, გვიან ღამით, 21-ე მკრ-ში მოხდა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, ბუნებრივმა აირმა წყლის გამათბობლიდან გაჟონა. გაზის ინტოქსიკაციის შედეგად, თავბრუსხვევითა და პირღებინებით, მცირეწლოვანი ბავშვები რუსთავის ბავშვთა ინფექციურ განყოფილებაში გადაიყვანეს, ბავშვების მშობლები კი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

# ურეკში მამაკაცს მატარებელი დაეჯახა



ურეკში მამაკაცს მატარებელი დაეჯახა.

შემთხვევა ურეკი-სუფსის სარკინიგზო მონაკვეთზე მოხდა.

მატარებელი ქუთაისი-ბათუმის მიმართულებით მოძრაობდა. მომხდარის შედეგად შუა ხნის მამაკაცი, რომელიც, სავარაუდოდ, ადგილობრივი მკვიდრი იყო, ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლითაა აღძრული, რაც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# იტალიაში საქართველოს მოქალაქე მოკლეს




იტალიის ქალაქ ბარიში საქართველოს მოქალაქე, 45 წლის მამაკაცი მოკლეს. მამაკაცს ჭრილობა ზურგის არეში, ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰქონდა მიყენებული.

მამაკაცის ცხედარი ერთ-ერთ სკვერში იპოვეს. იმ ადგილას, სადაც ცხედარი იპოვეს, სისხლის კვალი არ შეიმჩნეოდა, შესაბამისად, არის ვარაუდი, რომ ის სხვა ადგილას მოკლეს და ცხედარი სკვერში დააგდეს.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქართველოს მოქალაქის მკვლელობის შესახებ ინფორმირებულია იტალიაში საქართველოს საელჩო და საკონსულო.

როგორც უწყებაში განმარტავენ, მოკლულის ოჯახი იტალიაში საქართველოს საკონსულოში შეიტანს შესაბამის განცხადებას და ამის შემდეგ დაიწყება გადმოსვენების პროცედურები.

# ირაკლი ფირცხალავამ და გიორგი ცააძემ შიმშილობა დაიწყეს




კორტების სპეცოპერაციის საქმეზე ბრალდებულებმა ირაკლი ფირცხალავამ და გიორგი ცააძემ შიმშილობა დაიწყეს.

ბრალდებულები ითხოვენ, გასაჯაროვდეს ის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, 7 სპეცრაზმელი, რომელიც ამავე საქმეზე იყო ბრალდებული და ჩვენება მათ საწინააღმდეგოდ მისცა, ერთ საკანში იჯდა.

როგორც ინტერპრესნიუსს ირაკლი ფირცხალავას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა, ამ სპეცრაზმელების ერთ საკანში მოთავსებით დასტურდება, რომ მათ ჩვენებები შეათანხმეს.

მისივე თქმით, კანონმდებლობის პირდაპირი დარღვევაა, რომ ერთ საქმეზე ბრალდებულები ერთ საკანში არიან მოთავსებულები.

– ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე, პირველ რიგში, ითხოვენ გამოძიების დაწყებას ამ ფაქტთან დაკავშირებით და ასევე იმ დოკუმენტის გასაჯაროებას სასჯელაღსრულების სამინისტროსგან, რომლითაც დასტურდება, რომ ბრალდებულები ერთ საკანში იმყოფებოდნენ.

ეს კანონმდებლობის პირდაპირი დარღვევაა. მოგეხსენებათ, გირგვლიანის საქმეზე სტრასბურის სასამართლომ ერთ-ერთ დარღვევად სწორედ ეს მიიჩნია, რომ საქმეზე ბრალდებულები ერთად იყვნენ მოთავსებულები საკანში, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

მისივე თქმით, ბრალდებულები იქამდე გააგრძელებენ შიმშილობას, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# აშშ-ის პრეზიდენტი ინგლისის პრემიერს შეხვდება



27 იანვარს ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეის შეხვდება.

მეი პირველი საზღვარგარეთელი ლიდერია, რომელსაც ტრამპი შეხვდება.

თავად მეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბრიტანეთ-აშშ-ის ურთიერთობების შემდგომი განვითარების სურვილი აქვს. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ თუკი აუცილებელი გახდა, ტრამპთან შეკამათებასაც არ მოერიდება.

– არსებობს როგორც სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე პრინციპები. მათი დათმობა არ შეიძლება, – თქვა მეიმ.

# მაკეინი ტილერსონს მხარს დაუჭერს



ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა სენატორმა მაკეინმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს სახელმწიფო მდივნის პოსტზე რექს ტილერსონის დანიშვნას.

მაკეინმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე ტილერსონი საუკეთესო კანდიდატურაა.

– მას ნათლად ჩამოყალიბებული პროგრამა გააჩნია, – თქვა მაკეინმა.

ტილერსონმა თავის ტელეინტერვიუში აღნიშნა, რომ რუსეთთან ძალისმიერი პოზიციიდან ლაპარაკი აუცილებელია. სანქციების შესუსტებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

– მე სანქციების გაძლიერების მომხრე ვარ, – ამბობს ტილერსონი.

# მარინ ლე პენი გერმანელებს ემუქრება



საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ევროკავშირი დე ფაქტოდ მკვდარ სტრუქტურას წარმოადგენს. მან მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის კანცლერი მერკელი, რომელსაც ერთიანი ევროპის გადარჩენა სურს.

– ევროკავშირი უნდა გაქრეს! ეს დროის მოთხოვნაა! – აცხადებს მარინ ლე პენი.

მისი აზრით, პოლიტიკოსი, რომელიც დროის მოთხოვნას ფეხს ვერ აუწყობს, კრახისთვისაა განწირული. ერს, რომელიც ასეთ პოლიტიკოსს მხარს დაუჭერს, ასევე კრახი ელოდება.

– თუკი გერმანელები მერკელის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას ვერ შეძლებენ, ისეთივე კატასტროფა ელით, როგორც 1945 წელს, – აცხადებს მადმუაზელ ლე პენი.

# ფრანსუა ფიიონი: „რუსული აგენტურა მთელ მსოფლიოშია გააქტიურებული“

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ფრანსუა ფიიონმა განაცხადა, რომ ნატოს გაფართოება და იქ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მიღება, შეცდომა იყო. ამან რუსეთ-დასავლეთს შორის კონფრონტაცია გააღვივა. ყოველივე კი უკრაინულმა რევოლუციამ დააგვირგვინა. რუსეთი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოზიციების მკვეთრი შესუსტების საფრთხის წინაშე და შეტევაზე გადავიდა.

– დღეს რუსული აგენტურა მთელ მსოფლიოშია გააქტიურებული და ცდილობს, ყველგან დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, – თვლის ფიიონი.

მისი აზრით, ახალი ცივი ომი უკვე დაიწყო. ახლა მთავარი ისაა, მოხდება დაძაბულობის განმუხტვა თუ ესკალაციის ახალი ეტაპი დაიწყება.

– რუსეთს დემოკრატიული ტრადიციები არ გააჩნია! სამაგიეროდ, ატომური ბომბი აქვს და ეს უნდა გავითვალისწინოთ, – თვლის საფრანგეთს პრეზიდენტობის პრეტენდენტი.

ფიიონის აზრით, დღეს ორი გამოსავალი არსებობს: ან რუსეთთან დაპირისპირება, ან შეთანხმება. საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ შეთანხმების მომხრეა. მისი აზრით, ყველა მხარე უნდა წავიდეს კომპრომისზე. რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი დონბასიდან, ყირიმის საკითხმა კი მეორე პლანზე გადაინაცვლოს.

– აუცილებელი არ არის ყირიმის რუსეთთან შეერთების აღიარება! თავის დროზე არც ბალტიისპირეთის საბჭოთა კავშირში შესვლას ვაღიარებდით, მაგრამ ამის გამო მოსკოვისთვის სანქციები არავის დაუწესებია! ახლაც რაღაც მსგავსი უნდა განმეორდეს, – თვლის ფიიონი.



უკრაინის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა ფიიონის სიტყვებზე ფრიად საინტერესო კომენტარი გააკეთა. ის მიიჩნევს, რომ დასავლეთი დაბნეულია და ფიიონის სიტყვები ამის ნათელი დადასტურებაა.

– თავის დროზე დასავლეთი მხარს არც უკრაინის დამოუკიდებლობას უჭერდა. კიევში ჩამოსულმა კოლმა და ბუშმა მოგვიწოდეს, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისთვის ხელი მოგვეწერა. გავიდა სულ რამდენიმე თვე და მათ უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარეს. რატომ? იმიტომ, რომ არაღიარება უკვე აღარ შეიძლებოდა, – ამბობს ტარასიუკი.

ყოფილი მინისტრის აზრით, ახლაც იგივე მეორდება.

– უკრაინა და საქართველო როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრები აუცილებლად გახდებიან! ახლა ამის წინა პერიოდია, – თვლის ტარასიუკი.

# მემარცხენეების პრაიმერიზის მეორე ტურში მანუელ ვალსი და ბენუა ამონი გავიდნენ



კვირას საფრანგეთში მემარცხენეების პრაიმერიზის პირველი ტური ჩატარდა, რომლის შედეგების მიხედვით, მეორე ტურში გავიდნენ განათლების ყოფილი მინისტრი ბენუა ამონი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი.

პრაიმერიზის პირველ ტურში ბენუა ამონმა ამომრჩეველთა ხმების 36.2% მიიღო, მანუელ ვალსმა – 31.2%, ხოლო ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა არნო მონტებურმა – 17.6%.

მანუელ ვალსის განცხადებით, მეორე ტურის წინ არაფერია ჯერ გადაწყვეტილი. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ახალი კამპანია იწყება და მოხარულია, რომ ბენუა ამონს დაუპირისპირდება.

– ამომრჩევლებს მოუწევთ არჩევანის გაკეთება აშკარა დამარცხებასა და შესაძლო გამარჯვებას შორის, – განაცხადა მანუელ ვალსმა.

ბენუა ამონსა და მანუელ ვალსს შორის დებატები 26 იანვარს გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო გამოკითხვების თანახმად, სოციალისტების კანდიდატი, იქნება ეს მანუელ ვალსი თუ ბენუა ამონი, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა ხმების 8-9%-ს მიიღებს.

# რუმინეთში საპროტესტო აქციები გაიმართა

ბუქარესტში მთავრობის სახლის წინ 15.000-იანი დემონსტრაცია გაიმართა.

მანიფესტანტები აპროტესტებდნენ პრემიერ-მინისტრის უკანასკნელ გადაწყვეტილებას, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავეთა ფართო ამნისტიას ითვალისწინებს. ამას გარდა, დანაშაულად აღარ ჩაითვლება სახელმწიფო თანამდებობის ბოროტად გამოყენება, თუკი ამან ქვეყანას 200.000 ლიეზე (47.500 დოლარი) ნაკლები ზიანი მიაყენა.

– პრემიერს სურს თავისი თანაპარტიელები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან იხსნას. ისინი ხომ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის არიან დაპატიმრებულნი, – ამბობდნენ მანიფესტანტები.

ბუქარესტის გარდა, დემონსტრაციები გაიმართა კონსტანცაში, კრაიოვაში, ბრაშოვში, ტიმოშოარაში.



# ანტონ გერაშჩენკო: „კანონზომიერია, რომ ფსბ-ს ჩემი ლიკვიდაცია სურდა!“



უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ანტონ გერაშჩენკომ კომენტარი გააკეთა ორი ქილერის დაკავებაზე, რომელთაც რუსული ფედერალური უშიშროების სამსახურის (ფსბ) დავალებით მისი ლიკვიდაცია სურდათ:

– მე უკრაინის ეროვნული ინტერესებისთვის ვშრომობ! კანონზომიერია, რომ ფსბ-მ ჩემი ლიკვიდაცია მოინდომა. ეს ჩემთვის სტიმულიც კია. გამოდის, რომ კარგად ვმუშაობ.

გერაშჩენკომ განაცხადა, რომ მის მიერ შექმნილი საიტი „მიროტვორეცი“ მუშაობას გააგრძელებს. მეტიც, რუსებს ახალ სიურპრიზებს მოუწყობს.

– ბატონ პუტინს კი მინდა ვუთხრა: ამიერიდან მოსკოვის წინააღმდეგ უფრო აქტიურად ვიმუშავებ! – თქვა გერაშჩენკომ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# ირანელი არალეგალი გერმანიის ნაცვლად უკრაინაში აღმოჩნდა



უკრაინა-რუმინეთის საზღვრის მახლობლად, საბაჟო „ჩერნოვციზე“ აღმოჩენილი იქნა ირანის მოქალაქე, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის ყუთებით დატვირთულ სამაცივრე მანქანაში იმალებოდა. მამაკაცს გერმანიაში მოხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. ამ ინფორმაციას უკრაინის სასაზღვრო სამსახური ავრცელებს.

ავტომობილის სამაცივრო კამერაში, რომელიც თურქეთიდან უკრაინის გავლით ევროკავშირის ქვეყნებში მიემართებოდა, ირანელმა სამ დღეზე მეტი გაატარა. არალეგალი ადგილობრივი სასაზღვრო ჯგუფის კუთვნილ დროებითი დაკავების საკანში მოათავსეს, სადაც მას შეამოწმებენ და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარებასაც აღმოუჩენენ.

ირანელი არალეგალის ბედს უკრაინის სასამართლო გადაწყვეტს. სავარაუდოდ, მას ირანში დეპორტაცია მოელის.

# ამერიკელი მე-18 დაესწრო პრეზიდენტის ინაუგურაციას



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრები მამაკაცი მე-18 დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიას.

პირველად 91 წლის ჰაროლდ სმიკ-უმცროსი საზეიმო ცერემონიაზე 1941 წლის 20 იანვარს იქნა მიწვეული. ის მაშინ 15 წლის იყო. მაშინ ქვეყნის მეთაურად მესამე ვადით იქნა არჩეული ფრანკლინ რუზველტი.

– ეს ყოველივე მეამაყება, – განაცხადა ჰაროლდმა ინაუგურაციის ცერემონიაზე დასწრების დროს.

აღსანიშნავია, რომ ჰაროლდ-სმიკი აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრო იმის მიუხედავად, რომ არჩევნებში ხმა მის მოწინააღმდეგეს, დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ჰილარი კლინტონს მისცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

## მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მატჩები გათანაბრდა, ქულებით დინამო ლიდერობს

გაიმართა საკალათბურთო სუპერლიგის გადადებული მატჩები, რის შემდეგ ყველა გუნდის ჩატარებული მატჩები გათანაბრდა.

**ოლიმპი-ქუთაისი 67:70**

(9:21, 18:18, 16:16, 24:15)

ოლიმპი ჩემპიონსა და მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს მასპინძლობდა და პირველი პერიოდი 9:21 წააგო. 12-ქულიანი სხვაობა იყო ბოლო პერიოდის დაწყებამდეც, თუმცა მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე რევაზ როგავას სამქულიანით ანგარიში გათანაბრდა – 65:65. თუმცა, მატჩის დასკვნით 2 წუთში ქუთაისელებმა მეტი მობილიზება გამოავლინეს და გიორგი ცინცაძისა და აკაკი ლომოურის ქულებით გამარჯვების მოპოვება მოახერხა.

რაც შეეხება შეხვედრის საწყის 3 პერიოდს, ქუთაისელთა უპირატესობა აშკარა იყო. ეს განსაკუთრებით პირველ პერიოდზე ითქმის, როცა კარგი დაცვისა და კომბინირებული შეტევის ხარჯზე სტუმრებმა 13-ქულიანი ლიდერობის მოპოვება მოახერხეს, რომელიც მეორე მეოთხედში 17-მდე გაზარდეს.

ოლიმპმა ბოლო პერიოდში ხასიათი გამოავლინა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე სოლიდური სხვაობით ლიდერობდა, ბრძოლისა და შედეგიანი სროლების ხარჯზე შანსი გაიჩინა, მაგრამ...

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 10 პასით გიორგი ცინცაძემ ულიდერა. ორმაგი დუბლი დააგროვა ქუთაისელთა კიდევ ორმა მოთამაშემ: აკაკი ლომოურმა 13 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, დრაგან ტუბაკმა კი – 11 ქულა და 15 მოხსნა.

ოლიმპში გამორჩეული ლიდერი რევაზ როგავა იყო, რომელმაც თავი 32 ქულას მოუყარა.

**რუსთავი-კაკტუსი 75:94**

(20:21, 18:21, 13:31, 24:21)

ცხრილში ამ გუნდებს შორის გვარიანი სხვაობა იყო – ქვემოქართლურ გუნდს კაკტუსელებზე 3-ით მეტი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და ფავორიტადაც ითვლებოდა, თუმცა საბოლოო ანგარიშმა საპირისპირო შედეგი დააფიქსირა.

პირველი მეოთხედი თანაბარი გამოდგა და თბილისური გუნდის მინიმალური უპირატესობით დასრულდა. მეორე მეოთხედში მასპინძლებმა შედეგიანობა გააუმჯობესეს და დიდ შესვენებამდე 2,30 წუთით ადრე დაწინაურდნენ კიდეც – 38:33. დარჩენილ დროში კაკტუსელებმა შორი სროლებით ჩამორჩენა შეამცირეს, ხოლო ტაილერ უაითის სამქულიანებით პირველი ტაიმი 42:38 მოიგეს.

შესვენებიდან დაბრუნებული კაკტუსელები კიდევ უფრო შედეგიანად ათამაშდნენ და გუნდური თამაშის წყალობით ჯერ 10 ქულით დაწინაურდნენ, შემდეგ კი 20-ამდეც ავიდნენ. მესამე მეოთხედი სტუმრებმა 31:13 მოიგეს, 22 ქულით გალიდერდნენ და მატჩის ბოლო ათწუთეულს აზრი დაუკარგეს.

საბოლოოდ კაკტუსი უპრობლემოდ მივიდა გამარჯვებამდე და სუპერლიგაში მე-7 გამარჯვება გაიფორმა.

თბილისურ გუნდს 24 ქულით ტაილერ უაითმა ულიდერა. 20 ქულა ტერიკ ბრიჯმენის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო ირაკლი ჩლაიძემ პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა.

რუსთაველთაგან 23 ქულით საუკეთესო შედეგი ქეისი კასპერბაუერმა დააფიქსირა, ხოლო 16 ქულა სერგო ათუაშვილმა მოაგროვა.

**სოხუმი-მგზავრები 91:83**

(18:20, 21:18, 29:20, 25:23)

მგზავრებმა განსხვავებული 2 ტაიმი ითამაშა. პირველში სოხუმელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და საწყისი პერიოდის 20:18 მოგების შემდეგ, მეორე 18:21 დათმო და დიდი შესვენებისთვის 1 ქულით ჩამორჩა. სოხუმმა მაღალ დონეზე ჩაატარა მესამე პერიოდი, რომელიც 29:20 მოიგო და მოპოვებული უპირატესობა ბოლო ათწუთულშიც არ დაუთმია.

საბოლოოდ სოხუმელებმა 93:81 იმარჯვეს და ჩემპიონატში მე-6 გამარჯვება მოიპოვეს. მატჩის საუკეთესო შედეგი დავით ბარბაქაძემ დააფიქსირა, რომელმაც 34 ქულა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ბარბაქაძემ 7-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, ექვსივე სამქულიანი ზუსტად გამოიყენა, რასაც თან ოთხივე საჯარიმო წაამატა – შესაშური პროცენტული მაჩვენებელია. 17 ქულა დაგროვდა ოთარ ბულიავას ანგარიშზე, გიორგი ჯგერენაიამ კი სოხუმელებს 11 ქულა მიაშველა.

მგზავრებში 19-19 ქულით საუკეთესონი იყვნენ კაშიმ რენსომი და კორი ალენი. ავთო ლომინაშვილის ანგარიშზე 12 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 14 | 14 | 01246-99328 | |
| 2.ქუთაისი | 14 | 11 | 31137-1059 | 25 |
| 3.რუსთავი | 14 | 8 | 61096-1124 | 22 |
| 4.სოხუმი | 14 | 6 | 81193-1208 | 20 |
| 5.კაკტუსი | 14 | 6 | 81137-1212 | 20 |
| 6.ბათუმი | 14 | 6 | 81091-1070 | 20 |
| 7.ოლიმპი | 14 | 4 | 10965-1020 | 18 |
| 8.მგზავრები | 14 | 1 | 13991-1170 | 15 |



# ფაჩულია და გოლდენი ისევ იგებენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გოლდენ სტეიტმა სტუმრად 118:98 დაამარცხა ორლანდო მეჯიქი, ზაზა ფაჩულიამ კი 20 წუთში 14 ქულა მოაგროვა და, რაც მთავარია, სროლათა მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. ქართველი ცენტრის მეურვე გახლდათ მონტენეგროელი ნიკოლა ვუჩევიჩი, რომელსაც ზაზამ დუელი გასულ სექტემბერში, სანაკრებო დონეზეც მოუგო. თავად ოკლენდელებმა კი, თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, მესამე პერიოდი 42:24 მოიგეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

ფაჩულია საკმაოდ ეფექტური იყო როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. ფაჩულიამ 8 ცდიდან 7 ორქულიანი ჩააგდო, 2 საჯარიმო კი ააცილა. 14 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 5 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

რაც შეეხება ორლანდოს ცენტრს, ვუჩევიჩმა ზაზაზე 4 წუთით მეტი ითამაშა და 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

44 მატჩიდან 38 მოგებით გოლდენ სტეიტს ლიგის საუკეთესო შედეგი აქვს. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი სტუმრად მაიამი ჰითთან გამართავს.

ესპანეთის გასული ტურის საუკეთესო მოთამაშემ გიორგი შერმადინმა ისევ გაიბრწყინა, მისმა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ კი სტუმრად უშუალო კონკურენტი დაამარცხა. ანდორელები კანარის კუნძულებზე ადგილობრივ გრან კანარიას შეხვდნენ, რომელიც 10 მოგებითა და 6 მარცხით ცხრილში მე-7 ადგილზე იყო. გიორგი შერმადინის წინამძღოლობით ანდორამ ძალიან იოლად – 90:64 დაამარცხა მეტოქე და მას ცხრილში გაუთანაბრდა: ორივე გუნდს 10 მოგება და 7 მარცხი აქვთ.

გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ქართველი ცენტრი გახლდათ, რომელმაც 24 წუთი ითამაშა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. შერმადინმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 17 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. გიორგიმ 11-დან 6 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

ბექა ბურჯანაძე სათადარიგო იყო, თუმცა მოედანზე 21 წუთი დარჩა და 6 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა. ბექამ 3-დან სამივე ორქულიანი გამოიყენა.

მომდევნო მატჩს ანდორა სტუმრად, ხუვენტუდთან გამართავს.

თორნიკე შენგელიას კი ტრავმა აწუხებს და ამის გამო უკვე მეორე შეხვედრა გამოტოვა.

შენგელიას არყოფნაში, ბასკურმა კლუბმა საბერძნეთში 62:92 წააგო, ესპანეთის ჩემპიონატში კი სტუმრად, მურსიას 92:71 სძლია. ბასკონიამ 12 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და მე-5 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი შინ, ბარსელონასთან ჩაატარებს.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზირებულმა კალათბურთელმა მაიკლ დიქსონმა ათენის აეკ-თან კონტრაქტი გააგრძელა.

ახალი კონტრაქტი მხარეებს 2019 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. დიქსონი აეკ-ს 2016 წლის 21 ივნისს შეუერთდა და მიმდინარე სეზონში წარმატებით თამაშობს. ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ბერძნულმა კლუბმაც ამის გამო შესთავაზა მას კონტრაქტის გახანგრძლივება.

# პოლ კლემენტი – პრემიერლიგის ახალი აღმოჩენა?



გასულ უქმეებზე საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება შედგა ინგლისის პრემიერლიგაში ლივერპულსა და სუონსის შორის, რომელშიც გამარჯვება ყველასათვის მოულოდნელად უელსურ კლუბს დარჩა.

სუონსელთა თავკაცი პოლ კლემენტი რამდენიმე კვირის წინ ბაიერნის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის პოსტს იკავებდა, თუმცა უელსური კლუბის შეთავაზების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ბედი პრემიერლიგაშიც ეცადა.

სუონსიმ კლემენტის მისვლის შემდეგ 2 მატჩი მოიგო, პირველი კრისტალ პალასთან, ხოლო მეორე – ყველასათვის კარგად ნაცნობ იურგენ კლოპის მიერ დამოძღვრილი ლივერპულის წინააღმდეგ და ბოლო ადგილიდან გასავარდნ ზონას „დაუძვრა".

რაც შეეხება პოლ კლემენტის მოღვაწეობას მიუნხენის ბაიერნში: 44 წლის სპეციალისტი კლუბში კარლო ანჩელოტისთან ერთად მოვიდა, პირველი წრე წარმატებით ჩაატარა, მაგრამ კლუბს დოჰაში აღარ გაჰყვა, რადგან კატარში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე უკვე ცნობილი გახლდათ, რომ ინგლისელი სუონსის ჩაუდგებოდა სათავეში.

# შედეგები

**22 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

გვინეა ბისაუ-ბურკინა ფასო ......... 0:2
კამერუნი-გაბონი ......... 0:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ლესტერი ......... 3:0
არსენალი-ბარნლი ......... 2:1
ჩელსი-ჰალი ......... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 22 | 18 | 1 | 3 | 47-15 | 55 |
| 2.არსენალი | 22 | 14 | 5 | 3 | 50-23 | 47 |
| 3.ტოტენჰემი | 22 | 13 | 7 | 2 | 45-16 | 46 |
| 4.ლივერპული | 22 | 13 | 6 | 3 | 51-27 | 45 |
| 5.სიტი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-28 | 43 |
| 6.მანჩესტერი | 22 | 11 | 8 | 3 | 33-21 | 41 |
| 7.ევერტონი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-23 | 36 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 9 | 5 | 8 | 30-28 | 32 |
| 9.სტოკი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-34 | 28 |
| 10.ვესტ ჰემი | 22 | 8 | 4 | 10 | 29-36 | 28 |
| 11.საუთჰემპტონი | 22 | 7 | 6 | 9 | 22-26 | 27 |
| 12.ბორნმუთი | 22 | 7 | 5 | 10 | 32-39 | 26 |
| 13.ბარნლი | 22 | 8 | 2 | 12 | 24-33 | 26 |
| 14.უოტფორდი | 22 | 6 | 6 | 10 | 25-38 | 24 |
| 15.ლესტერი | 22 | 5 | 6 | 11 | 24-37 | 21 |
| 16.მიდლსბრო | 22 | 4 | 8 | 10 | 18-25 | 20 |
| 17.სუონსი | 22 | 5 | 3 | 14 | 26-51 | 18 |
| 18.კრ.პალასი | 22 | 4 | 4 | 14 | 30-41 | 16 |
| 19.ჰალი | 22 | 4 | 4 | 14 | 20-47 | 16 |
| 20.სანდერლენდი | 22 | 4 | 3 | 15 | 20-42 | 15 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-სევილია ......... 3:4
ბილბაო-ატლეტიკო ......... 2:2
ბეტისი-ხიხონი ......... 0:0
სოსიედადი-სელტა ......... 1:0
ეიბარი-ბარსელონა ......... 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 18 | 13 | 4 | 1 | 48-17 | 43 |
| 2.სევილია | 19 | 13 | 3 | 3 | 42-25 | 42 |
| 3.ბარსელონა | 19 | 12 | 5 | 2 | 51-17 | 41 |
| 4.ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 34-16 | 35 |
| 5.სოსიედადი | 19 | 11 | 2 | 6 | 31-25 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 19 | 8 | 7 | 4 | 26-14 | 31 |
| 7.ბილბაო | 19 | 8 | 5 | 6 | 24-21 | 29 |
| 8.სელტა | 19 | 8 | 3 | 8 | 29-33 | 27 |
| 9.ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-26 | 26 |
| 10.ეიბარი | 19 | 7 | 5 | 7 | 25-28 | 26 |
| 11.ლას პალმასი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-30 | 25 |
| 12.ალავესი | 19 | 5 | 8 | 6 | 17-20 | 23 |
| 13.ბეტისი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-30 | 22 |
| 14.მალაგა | 19 | 5 | 6 | 8 | 27-33 | 21 |
| 15.ვალენსია | 18 | 5 | 4 | 9 | 28-33 | 19 |
| 16.დეპორტივო | 19 | 4 | 7 | 8 | 24-29 | 19 |
| 17.ლეგანესი | 19 | 4 | 6 | 9 | 15-31 | 18 |
| 18.ხიხონი | 19 | 3 | 4 | 12 | 19-37 | 13 |
| 19.გრანადა | 19 | 1 | 7 | 11 | 16-42 | 10 |
| 20.ოსასუნა | 19 | 1 | 6 | 12 | 20-42 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-ნუმანსია ......... 1:0
რეუსი-მალიორკა ......... 1:1
ხეტაფე-მირანდესი ......... 1:1
ხირონა-სევილია ბ ......... 2:0
კადისი-ალმერია ......... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ჰერტა ......... 3:1
მაინცი-კიოლნი ......... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 40-10 | 42 |
| 2.ლაიპციგი | 17 | 12 | 3 | 2 | 34-15 | 39 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 17 | 7 | 10 | 0 | 30-17 | 31 |
| 4.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 37-20 | 30 |
| 5.ჰერტა | 17 | 9 | 3 | 5 | 25-19 | 30 |
| 6.აინტრახტი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-15 | 29 |
| 7.კიოლნი | 17 | 6 | 8 | 3 | 21-15 | 26 |
| 8.ლევერკუზენი | 17 | 7 | 3 | 7 | 26-25 | 24 |
| 9.ფრაიბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-29 | 23 |
| 10.შალკე | 17 | 6 | 3 | 8 | 21-19 | 21 |
| 11.მაინცი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-30 | 21 |
| 12.ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-24 | 19 |
| 13.აუგსბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 13-19 | 18 |
| 14.გლადბახი | 17 | 4 | 5 | 8 | 15-25 | 17 |
| 15.ვერდერი | 17 | 4 | 4 | 9 | 21-36 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 17 | 3 | 4 | 10 | 14-32 | 13 |
| 17.ინგოლშტადტი | 17 | 3 | 3 | 11 | 14-28 | 12 |
| 18.დარმშტადტი | 17 | 2 | 3 | 12 | 11-30 | 9 |

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ლაციო ......... 2:0
ჯენოა-კროტონე ......... 2:2
პალერმო-ინტერი ......... 0:1
პესკარა-სასუოლო ......... 1:3
ბოლონია-ტორინო ......... 2:0
ემპოლი-უდინეზე ......... 1:0
ატალანტა-სამპდორია ......... 1:0
რომა-კალიარი ......... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 0 | 4 | 42-16 | 48 |
| 2.რომა | 21 | 15 | 2 | 4 | 42-18 | 47 |
| 3.ნაპოლი | 21 | 13 | 5 | 3 | 47-24 | 44 |
| 4.ლაციო | 21 | 12 | 4 | 5 | 35-24 | 40 |
| 5.ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 34-23 | 39 |
| 6.ატალანტა | 21 | 12 | 2 | 7 | 33-24 | 38 |
| 7.მილანი | 20 | 11 | 4 | 5 | 31-24 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 20 | 9 | 6 | 5 | 33-25 | 33 |
| 9.ტორინო | 21 | 8 | 6 | 7 | 38-31 | 30 |
| 10.ბოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 20-25 | 26 |
| 11.კალიარი | 21 | 8 | 2 | 11 | 31-45 | 26 |
| 12.უდინეზე | 21 | 7 | 4 | 10 | 25-28 | 25 |
| 13.კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 21-30 | 25 |
| 14.სასუოლო | 21 | 7 | 3 | 11 | 31-35 | 24 |
| 15.ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 24-29 | 24 |
| 16.სამპდორია | 21 | 6 | 6 | 9 | 22-27 | 24 |
| 17.ემპოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 12-26 | 21 |
| 18.კროტონე | 20 | 2 | 4 | 14 | 16-36 | 10 |
| 19.პალერმო | 21 | 2 | 4 | 15 | 17-41 | 10 |
| 20.პესკარა | 20 | 1 | 6 | 13 | 16-39 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პრო ვერჩელი ......... 0:0
სალერნიტანა-სპეცია ......... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ლორიანი ......... 4:0
სტ.ეტიენი-ანჟე ......... 2:1
ლიონი-მარსელი ......... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 21 | 15 | 3 | 3 | 64-21 | 48 |
| 2.ნიცა | 21 | 13 | 7 | 1 | 35-14 | 46 |
| 3.პსჟ | 21 | 14 | 3 | 4 | 41-15 | 45 |
| 4.ლიონი | 20 | 12 | 1 | 7 | 39-23 | 37 |
| 5.გენგამი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-23 | 31 |
| 6.სტ.ეტიენი | 21 | 7 | 9 | 5 | 21-18 | 30 |
| 7.მარსელი | 21 | 8 | 6 | 7 | 24-26 | 30 |
| 8.რენი | 21 | 8 | 5 | 8 | 21-25 | 29 |
| 9.ბორდო | 21 | 7 | 8 | 6 | 22-27 | 29 |
| 10.ტულუზა | 21 | 7 | 5 | 9 | 22-23 | 26 |
| 11.ნანტი | 21 | 7 | 4 | 10 | 14-28 | 25 |
| 12.ნანსი | 20 | 6 | 6 | 8 | 16-23 | 24 |
| 13.მონპელიე | 21 | 5 | 8 | 8 | 29-34 | 23 |
| 14.ლილი | 21 | 6 | 5 | 10 | 19-26 | 23 |
| 15.დიჟონი | 21 | 4 | 9 | 8 | 27-30 | 21 |
| 16.ბასტია | 21 | 5 | 6 | 10 | 18-25 | 21 |
| 17.კაენი | 20 | 6 | 3 | 11 | 23-35 | 21 |
| 18.მეცი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-36 | 21 |
| 19.ანჟე | 21 | 5 | 5 | 11 | 17-27 | 20 |
| 20.ლორიანი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-43 | 18 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-აიაქსი ......... 0:1
ნაიმეგენი-როდა ......... 2:0
ექსელსიორი-იგლზი ......... 1:1
პსვ-ჰერენვენი ......... 4:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბენფიკა-ტონდელა ......... 4:0
ფეირენშე-ეშტორილი ......... 1:0
ბელენენსეში-სეტუბალი ......... 1:2
ბრაგა-გიმარაეში ......... 1:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სტანდარდი-ბრიუგე ......... 0:3
ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი ......... 3:1
მეხელენი-ვესტერლო ......... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ასტერასი ......... 2:0
ლარისა-პლატანიასი ......... 0:0
ლევადიაკოსი-ატრომიტოსი ......... 1:1
კერკირა-პანათინაიკოსი ......... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ოსმანლი-ანთალია ......... 1:2
ქაშიმფაშა-ტრაბზონი ......... 0:1
ფენერბახჩე-ბაშაქშეჰირი ......... 1:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

მარეი-ზვერევი ......... 5:7, 7:5, 2:6, 4:6
ვავრინკა-სეპი ......... 7:6, 7:6, 7:6
ცონგა-ედვანსი ......... 6:7, 6:2, 6:4, 6:4
ფედერერი-ნიშიკორი 6:7, 6:4, 6:1, 4:6, 6:3

**ქალები**

პავლუჩენკოვა-კუზნეცოვა .... 6:3, 6:3
ბარტელი-ვ.უილიამსი ......... 3:6, 5:7
კირსტეა-მუგურუზა ......... 2:6, 3:6
კერბერი-ვანდევეი ......... 2:6, 3:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს ანევრიზმას

ეკა ირემაშვილი

ანევრიზმები, უმეტეს შემთხვევაში, სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანების გამო ჩნდება. მათ შორის ყველაზე ხშირი მუცლის აორტის ანევრიზმაა. პროცენტულად, მასზე ანევრიზმათა დაახლოებით 80% მოდის. ანევრიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სისხლძარღვთა კედლის ათეროსკლეროზული გადაგვარებაა.

რა არის ანევრიზმა, როგორ ჩნდება ის, ანევრიზმის გამომწვევი რა რისკ-ფაქტორები არსებობს და რომელი ასაკია სახიფათო? რატომ მიიჩნევენ სისხლძარღვთა ქირურგიაში ანევრიზმის ოპერაციას ყველაზე რთულად, როგორ უნდა მოვიქცეთ კრიტიკულ სიტუაციაში პაციენტის კლინიკაში მიყვანამდე და რას სთავაზობს საზოგადოებას ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრი – ამ და სხვა საინტერესო თემებზე, ანგიოქირურგი, პროფესორი კოტე ყიფიანი გვესაუბრება.

**კოტე ყიფიანი:**

– ანევრიზმები, უმეტეს შემთხვევაში, სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანების გამო ჩნდება. მათ შორის ყველაზე ხშირი მუცლის აორტის ანევრიზმაა. პროცენტულად, მასზე ანევრიზმათა დაახლოებით 80% მოდის. ანევრიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სისხლძარღვთა კედლის ათეროსკლეროზული გადაგვარებაა. მაგალითად, თუ ჯანმრთელი აორტის დიამეტრი 2 სანტიმეტრია, 3 ან 4 სანტიმეტრის შემთხვევაში, საქმე უკვე ანევრიზმასთან გვაქვს. თუ ანევრიზმის დიამეტრი 5 სანტიმეტრამდეა, მას სჭირდება არაქირურგიული მკურნალობა და დაკვირვება დინამიკაში, მაგრამ თუ უფრო დიდი ზომაა, მისი გასკდომის ალბათობა დიდია და ამიტომ ქირურგიული ჩარევაა აუცილებელი. ჩვენ გვქონია შემთხვევა, როდესაც პაციენტს მუცლის აორტის 13 სანტიმეტრიანი დიამერტის ანევრიზმა ჰქონდა. ეს თითქმის მთელი მუცლის ღრუა.

***– არ სიმპტომი აქვს ანევრიზმას?***

– დაავადების 60-70%-ის შემთხვევაში ანევრიზმა უსიმპტომოდ მიმდინარეობს. პაციენტს არაფერი აწუხებს და საფრთხის შესახებ შემთხვევით, მუცლის ღრუს ექოსკოპიის გაკეთებისას იგებს. თუმცა, 30%-ის შემთხვევაში, გარკვეული ჩივილები არსებობს. მაგალითად, ტკივილი წელის არეში, დისკომფორტი, მუცლის შებერილობა. ამიტომაც, მის დასადგენად, მთელ მსოფლიოში არსებობს სკრინინგი.

***– უფრო ხშირად რა ასაკში გვხვდება ანევრიზმა?***

– ეს დაავადება დამახასიათებელია ხანშიშესული ადამიანებისათვის. ახალგაზრდებში იშვიათად ვლინდება. 55 წლიდან უკვე არსებობს ანევრიზმის განვითარების რისკი. ამიტომ აუცილებელია, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ადამიანმა ექოსკოპია გაიკეთოს. ანევრიზმის ოპერაცია ღია თუ ენდოვასკულარული მეთოდით, იმდენად გავრცელებული და დახვეწილია, რომ პრობლემა რეალურად არ არსებობს. ამასთან, გეგმური ოპერაციის შემთხვევაში, ოპერაციის შემდგომი პერიოდის ლეტალობაც ძალიან დაბალი, დაახლოებით, 2-5%-ია.

***– რა მოხდება, თუკი ანევრიზმა გასკდა?***

– როდესაც ანევრიზმა გასკდება, მდგომარეობა უსაშველო არ არის. შესაძლებელია, პატრონმა მოასწროს ავადმყოფის მოყვანა კლინიკაში. ჩვენ ბევრი ოპერაცია გვაქვს გაკეთებული გამსკდარი ანევრიზმების დროს. ბუნებრივია, გეგმურისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ოპერაციის რისკი უფრო დიდია, თუმცა შედეგები ცუდი არ არის.

***– რატომ უჩნდებათ ანევრიზმა უფრო ხანშიშესულ ადამიანებს?***

– ეს ათეროსკლეროზის ბრალია. ათეროსკლეროზი არის სისხლძარღვთა კედლებში ფოლაქების ჩალაგება, რომლებიც კედელს აზიანებენ. ათეროსკლეროზი ფართო ცნებაა. მის გამო ხდება ინსულტი, ინფარქტი, ქვემო კიდურების განგრენა. მან შეიძლება სისხლძარღვი შეავიწროოს (გულისა და საძილე არტერიები), მაგრამ აორტის შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ იქ არის დიდი წნევა და ათეროსკლეროზის შემთხვევაში სისხლძარღვის კედელი კარგავს ელასტიურობას, შესაძლოა, გაფართოვდეს და წარმოიქმნას ანევრიზმა.

***– რა შეიძლება გაკეთდეს ათეროსკლეროზის პრევენციისთვის?***

– ათეროსკლეროზის პრევენცია ჯანსაღი ცხოვრების წესია. წნევის კონტროლი, სიგარეტის გარეშე ცხოვრება და რაც მთავარია, ჯანსაღი კვება. ადამიანმა უნდა მიიღოს ბოსტნეული დიდი რაოდენობით. ნაკლე-




ბად უნდა მიიღოს ქოლესტერინის შემცველი საკვები, კვერცხი, ღორისა და საქონლის ხორცი შემწვარი და ა.შ. ხანშიშესულმა ადამიანმა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უნდა ჩაიტაროს სკრინინგი – მუცლის ღრუს ექოსკოპია. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ თუ ათეროსკლეროზი გამოჩნდა, ჯანსაღი ცხოვრების წესზე გადავიდეთ და შევაჩეროთ მისი განვითარება. ათეროსკლეროზის მკურნალობა შეუძლებელია, თუმცა შეჩერება – შესაძლებელი.

***– ამბობენ, რომ უფრო ხშირად ანევრიზმა მამაკაცებს ემართებათ და არა ქალ***ბატონებს. რა არის ამის მიზეზი?

– დიახ, ეს მართლაც ასეა. ქალებს ნაკლებად ემართებათ, თუმცა გამორიცხული არაფერია. შეფარდება ქალების კაცებთან 1:3-ზეა.

ანევრიზმის გადაცემა გენეტიკურადაც შესაძლებელია, თუმცა, მაინც რისკ-ფაქტორები მამაკაცებში მეტია. ესაა თამბაქოს მოხმარება, არაჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ. ანევრიზმის განვითარებას ხელს უწყობს მაღალი არტერიული წნევა, თამბაქოს მოხმარება. წინასწარ რომ პრევენცია გააკეთო მაინცდამაინც ანევრიზმაზე, არ არსებობს. ჩვენ ათეროსკლეროზს უნდა ვებრძოლოთ. არც ერთი დაავადება მეორადად ანევრიზმას არ ავითარებს. თუმცა არის შემთხვევები, როცა ის ფიზიკური ტრავმის შედეგად ვითარდება, მაგრამ ეს სხვა კატეგორიაა. მსგავსი შემთხვევები პროცენტულად დაბალია. მისი დიაგნოსტიკისთვის რამე განსაკუთრებული მეთოდი საჭირო არ არის, ექოსკოპია საკმარისია. მისი გაკეთება კი ყველგან შეიძლება. არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც ანგიოლოგთან მივიდეს პაციენტი. ჩვენთანაც ძალიან ბევრი ადამიანი მოდის, რომლებმაც ექოსკოპია სხვაგან ჩაიტარეს და აორტის გაფართოვების გამო, ჩვენთან გამოგზავნეს. ექოსკოპია არ ღირს ძვირი, ამიტომ ასაკში რომაა ადამიანი, უნდა გაესინჯოს. როდესაც ანევრიზმა დადგინდება, მერე კომპიუტერული ტომოგრაფია სჭირდება პაციენტს, თუმცა ეს სხვა დეტალებია და უკვე იმაზე ვმსჯელობთ, როგორ ვუშველოთ მას.

***– როცა ანევრიზმა სკდება, პაციენტის მდგომარეობა მძიმდება. შესაძლებელია მისი გადარჩენა?***

– გეგმური ოპერაციის დროს, სიკვდილიანობა 2-5%-მდეა, გამსკდარი ანევრიზმის დროს, შედეგი ფატალური არაა, თუმცა გადარჩენის შანსი 50%-ია. როდესაც ანევრიზმა სკდება, სისხლის უზარმაზარი მასა იღვრება აორტის გარშემო ქსოვილებში. პაციენტს აქვს ჰემორაგიული შოკი, უვარდება წნევა, რომლის დროსაც თრომბული მასები დროებით აჩერებს სისხლდენას. ამიტომ დროულად მოყვანაა საჭირო. სწორედ ამ პერიოდში უნდა მოხერხდეს დიაგნოზის დასმა და ჩატარდეს სასწრაფო ოპერაცია.

ჩვენს კლინიკაში გამსკდარი ანევრიზმის დიაგნოზით 75 პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია. შედეგები ცუდი არ გვაქვს 62% გადავარჩინეთ. ცნობილია, რომ ანევრიზმის ოპერაცია ყველგან არ უნდა კეთდებოდეს. მარტო სპეციალისტი ანგიოლოგი ამას არ ჰყოფნის. ეს უნდა იყოს ცენტრი ან განყოფილება, სადაც ამ ოპერაციების გაკეთების დიდი გამოცდილება არსებობს. ეს არის მთელი დაწესებულების გამოცდილება, აპარატურა და ა.შ. ყველა მომსახურე პერსონალმა უნდა იცოდეს, პაციენტთა რა კონტინგენტს ემსახურება. სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ სისხლძარღვთა ბევრი განყოფილება გაიხსნა, სადაც უნდა იყოს სპეციალიზირებული სამსახური. იქ აკეთებენ ოპერაციებს. როგორც წესი, როგორც გამსკდარი, ასევე გეგმური ანევრიზმების შემთხვევაში, შესაძლოა ცუდი ანგიოლოგები არ მუშაობენ, მაგრამ, აქ შედეგები ცუდია. ეს მედიცინის ის დარგია, სადაც მაღალი ტექნოლოგიებია აუცილებელი და პაციენტის პოსტოპერაციული მდგომარეობიდან გამოყვანის მთელი სპეციფიკები არსებობს. ანევრიზმის შემთხვევებში უნდა იყოს მაღალტექნოლოგიური კლინიკა, სამწუხაროდ, ასე არ ხდება, რადგან ახლა სადაზღვევო კომპანიები, პაციენტს იქ ანაწილებენ, სადაც უფრო იაფად ტარდება ოპერაცია, შედეგები როგორია, მიხვდებით. სამწუხაროდ, ამ კლინიკებში, რომლებიცაა გახსნილი და ბევრი სისხლძარღვთა სპეციალისტი მუშაობს, გამოცდილება დაბალია. იცით, რა წერია გაიდლაინში? თუ წელიწადში კლინიკა ან ქირურგი, ანევრიზმების 50 ოპერაციაზე ნაკლებს აკეთებს, იმ კლინიკაში შედეგები ძალიან ცუდია. ჩვენთან, მაგალითად, მთელი საქართველოდან მოდიან და ვაკეთებთ წელიწადში 48-50 ოპერაციას. სხვა კლინიკებში უფრო დაბალი მონაცემია. ანევრიზმა სისხლძარღვთა ქირურგიაში ყველაზე რთულ ოპერაციად მიიჩნევა და უამრავ ნიუანსს მოიცავს. რთულია მაშინ, თუ ქირურგს დიდი გამოცდილება არ აქვს. როდესაც გამოცდილებაა, თუ ათეული წლის წინ 7-8 საათი სჭირდებოდა ოპერაციას, ახლა 2-2,5 საათი სჭირდება.

***– თუ ანევრიზმა გასკდა, როგორია პირველადი დახმარება?***

– ანევრიზმის გასკდომისას წნევა ვარდება. ექიმი არ უნდა ეცადოს, რომ წნევა აუწიოს. რაც აქვს, ის უნდა შეინარჩუნონ და მიიყვანონ კლინიკაში. თუ წნევას ავწევთ, დროებით მიფარებული თრომბი მოვარდება, კვლავ გამოჟონავს სისხლი და ყველაფერი ფატალური შედეგით დასრულდება. სხვათა შორის, სასწრაფოს ექიმები ძალიან გათვითცნობიერებული არიან ამ საკითხში და კმაყოფილი ვარ. ის შედეგები, რომლებიც ჩვენ გამსკდარი ანევრიზმის შემთხვევაში გვქონდა, როდესაც გამსკდარი ანევრიზმების 62% გადავარჩინეთ, მარტო ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. პაციენტები დროულად იქნენ მოყვანილნი ჩვენს კლინიკაში. ჩვენ ფაქტობრივად 30-40 წუთი გვჭირდება, რომ პაციენტი გამსკდარი ანევრიზმით შევიყვანოთ საოპერაციოში და 2-2,5 საათი, რომ დავასრულოთ ოპერაცია. დროის ფაქტორს გამსკდარი ანევრიზმების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

თვეში 5-10 პაციენტს ვიღებთ. ჩვენთან დიაგნოსტიკა გაუმჯობესდა, გამოვლენილი პაციენტების რაოდენობამაც მოიმატა, მაგრამ ბოლო დროს, სადაზღვევო კომპანიების გამო, მათი რიცხვი შემცირდა. ისინი პაციენტებს სხვა კლინიკებში ამისამართებენ, სადაც ანევრიზმის ოპერაცია იაფია, მაგრამ ანევრიზმის იაფი ოპერაცია შეუძლებელია. მისი არსი ისაა, რომ ლიკვიდაცია გაუკეთდეს ანევრიზმას და ხელოვნური სისხლძარღვი ჩაკერდეს. ამასთან სისხლის დიდი დანაკარგია. შეუძლებელია, რომ ეს ძალიან იაფი იყოს, თუმცა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ეს ოპერაცია ჩვენთან დაბალ ფასად კეთდება. გამსკდარი ანევრიზმა, დაახლოებით, 8.000 ლარი ჯდება, გეგმური 7.000 ლარი.

***– ქირურგიული ჩარევის გარდა, არსებობს სხვა ხერხები ანევრიზმის პრობლემის მოსაგვარებლად?***

– ჩვენი ქვეყნის უბედურება ისაა, რომ ჩვენ შესაძლებლობაც გვაქვს, აპარატურაც, რომ მოხდეს ენდოვასკულური ჩარევა. ანუ, პაციენტს ე.წ. სტენტგრაფტი ჩავუყენოთ, თუმცა ეს სტენტგრაფტი ძალიან ძვირი ღირს. მარტო ეს მოწყობილობა 10-ჯერ აღემატება ღია ოპერაციულ ჩარევას. ტექნიკურად ჩვენ მზად ვართ ამისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ ერთი, ძვირია და სადაზღვევო არ აფინანსებს, მეორეც, პაციენტი ამხელა თანხას ვერ იხდის. სტენტგრაფებს დიდი პერსპექტივა აქვს მსოფლიოში. ყველგან იკლებს ღია ოპერაციის რიცხვი და ე.წ. მკურნალობის ენდოვასკულურ მეთოდზე გადადიან, ანუ ანევრიზმას აკეთებენ სტენტგრაფტის გამოყენებით. 2-3 წლიწადში მათი გამოყენების რიცხვი გასამმაგდება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი
### 24 იანვრისათვის



**ვერძი** – მძიმე დღეა. იმედი გიცრუვდებათ. საკუთარი პოზიციების დასაცავად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** – ბედი გწყალობთ. ქალები საკუთარ ტალანტს საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩენთ. **ტყუპები** – ნებისმიერი საქმე იოლად გამოგდით. უსიამოვნებები არ გაწუხებთ. გელით ახალი გატაცება. **კირჩხიბი** – თავს ბედნიერად და დაცულად გრძნობთ. ცხოვრებისაგან დიდ სიამოვნებას იღებთ. **ლომი** – მიზნის მიღწევაში ხელისშემშლელი ფაქტორები იჩენს თავს, თუმცა ეს დროებითია. ემოციები დაიოკეთ. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **სასწორი** – შანსი გეძლევათ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. იღბლიანი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. საქმიანი შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – გელით კარიერული წინსვლა. ქალებს მსუბუქი ფლირტი გაგახალისებთ. **თხის რქა** – ენერგია გემატებათ. ნებისმიერ საქმეს მარტივად მოაგვარებთ. შესაძლოა, ძვირფასი ნივთი შეიძინოთ. **მერწყული** – საქმიანი და შემოქმედებითი აქტივობა გაამართლებს. პატარა დაბრკოლებებს ნუ შეუშინდებით. **თევზები** – ახალი ნაცნობობა, ხელშეკრულებების გაფორმება წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 4. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 5. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 9. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 11. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 12. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 19. ოსური ცეკვა.

**თარაზულად:** 4. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 5. ტროტუარზე, ასფალტზე ცარცით მხატვარი; 6. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. უღელტეხილი კახეთში; 8. ერთ-ერთი რელიგია; 10. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი ნივთიერება; 13. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 15. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ცენტრი; 16. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 20. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარი მოცემული რითმებით; 21. ფულის ერთეული ქუვეითში; 22. მეზღვაურის მაუდის ქურთუკი; 23. მძიმე, თხევადი საწვავით მომუშავე შიგაწვის ძრავა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქიმერა; 7. რენეგატი; 8. რასტრი; 10. პორშე; 11. შამპინიონი; 13. ჰონორარი; 16. ბადაგი; 19. ოპტიმუმი; 20. ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. მირანდა; 2. არარა; 3. მედისონი; 4. აგათონი; 5. ფიუზელაჟი; 9. მაიორი; 12. მარტინი; 14. ორესტე; 15. რიფი; 17. გრემი; 18. გორი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სკაიპი; 2. ონი; 3. კაბირია; 4. ტიბრი; 5. კარბონადო; 6. ბირჟა; 7. ნუკრი; 8. კრუიზი; 9. რაკიჩი; 10. კარმა; 11. ატრიბუტი; 12. ტეტ; 13. პარმეზანი; 14. პანთერა; 15. პართენონი; 16. ერა; 17. ეივე; 18. რუ; 19. ამნისტია; 20. ანდრე; 21. იმპერია; 22. დრონტი; 23. რაპირა; 24. კაშპერლე; 25. მადამ; 26. ემუ; 27. უმი; 28. სეანსი; 29. როსება; 30. ულაყი; 31. ნატრიუმი.

**სურათებზე:** რენატა სორა; აარომ რამზი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## მშვიდობით? არა ნახვამდის გოგი

ამბობენ, კარგ ადამიანზე საუბარი ადვილიაო, თუ მართლაც ასეა, რატომ ვეძებ შენზე დასაწერ სიტყვებს. შეიძლება იმიტომ, რომ შენ კარგ ადამიანობასთან ერთად განსხვავებულიც იყავი. მაშინ ყველაფერს შენს ფილოსოფოსობას ვაბრალებდი. შენ ხომ ჩემი ,,ფისოფია"იყავი. შენ არამარტო ჩემი მეგობარი, ჩემი ოჯახის მეგობარი და წევრიც იყავი. ჩვენი შეხვედრა ეროვნული მოძრაობის აღზევების ხანაში მოხდა, თუმცა მგონია ბავშვობიდანვე გიცნობდი. შენ კი მანამდე განვლილი გქონდა სკოლაინტერნატის, უნივერსიტეტის სტუდენტობის და ახალგაზრდა ლექტორობის გზა. შენ ხომ ეროვნული მოძრაობის ყველა საფეხური გაიარე. დაწყებული მიტინგების აქტიური წევრობიდან, ქვეყნის დამაქცევართა მიერ ე.წ. ,,ბუნკერი", შემდეგ აფხაზეთი და სამეგრელოს ბატალიები. შენ მანამდეც დადიოდი გროზნოში და უკანასკნელ გზაზეც გააცილე ჩვენი ქვეყნის აქამდე ერთადერთი პრეზიდენტი. საქართველოში გადმოსვენებული პრეზიდენტის ერთგულება მცხეთიდან მთაწმინდამდე ფეხით ასვლით გამოხატე. ამის გამო იყო, ქვეყნის დამაქცევართ შენი წაკითხული არც ლექცია მოსწონდათ და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორობიდანაც დაგიწუნეს და გამოგიშვეს. ქალაქის დეპუტატობა მოინდომე და ისეთი მხარდაჭერა აღმოგაჩნდა, იძულებული გახდნენ საკრებულოში დაესვით. ისე, როგორაც იმ სასამართლომაც ვერ შესძლო შენი დირექტორობიდან განთავისუფლება დაეკანონებინა და იძულებული გახდა, აღედგინე. თუმცა არავის უზრუნია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე. გული გწყდებოდა, შენი ნააზრევის დაწერისათვის დრო არ გრჩებოდა, თუმცა, ვისაც შენი გამოქვეყნებული წერილებისა და წიგნებისათვის თვალი გადაუვლია, აუცილებლად დაინახავდა ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ქუთაისურად და ქართულად მოაზროვნე პიროვნებას. და მაინც, შენი ნაკეთები საქმეებიდან უდიდესი შემოქმედება შენი ოჯახია. იქ, სადაც საქართველოს მომავალი იჭედება, იზრდება ორი კარგი ქართველი, ვაჟი ცოტნე კაცად და გოგონა ანანო ქალად. არ შემიძლია წმინდა მამების გამონათქვამებს არ დავესესხო ,,სიკვდილი ჩვენთვის ნაცნობიც არის და უცნობიც, ნაცნობი, რადგან ყველა მოვკდებით, უცნობი, რადგან არ ვიცით, როდის, როგორ და სად", ამიტომ ძალიან გულდაწყვეტილი ნუ განეშორები შენს ლამაზ ოჯახს და ქვეყანას შენსა. მე კიდევ ერთი წმინდანის გამონათქვამით დავამთავრებ, ისე როგორაც ეს მცირე მოსაგონარი დავიწყე. ,,იმაზე კი ნუ იფიქრებ, რომ გარდაცვლილი არასოდეს დაბრუნდება შენს სახლში, არამედ იმაზე, რომ შენც მალე შეუერთდები მას". უფალო ნათელში დაუმკვიდრე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი სათაყვანებელი ქართული მიწა.

**დანტე, ლულუკა, აკაკი, ანამარია ქავთარაძეები, ჩიტო ცაგარეიშვილი, ლილი ლორთქიფანიძე**

---

უდიდესი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ველოდი და მანონი ნანავებს საყვარელი მეუღლისა და დიდებული დედის



## ლიანა ვიქტორის ასულ ანთია-ნანავას

გარდაცვალების გამო.

მრავალშვილიანმა ოჯახმა დაკარგა საყვარელი დედა და დიდებული დიასახლისი დევნილობაში.

სამხრეთის თბილ ბუნებაში აღმოცენებულ ხეს ჩრდილოეთის სუსხიან მხარეში ვერ გაახარებ. ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოს ნებისმიერ კუთხეს სამშობლოდ არ ვთვლიდეთ, მაგრამ ყველას სამშობლო – „ოდაბადე" საკუთარი ეზოს კარიდან იწყება და ეს ფუფუნება 25 წელიწადია აკლდა აწ განსვენებულ დიდებულ ქალბატონს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული.

**რაჟდენ ქარდავა შვილებითა და შვილიშვილებით**

---

თანაკლასელები დიდ მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ მანონ ნანავას საყვარელი დედის

## ლიანა ვიქტორის ასულ ნანავას

გარდაცვალების გამო.

ეკა ქარდავა, ზვიად კვეკვესქირი, ლალი სათალანძე, ელისო მზარელუა, ეკა სეფისკვერაძე

---

ვიზიარებთ ანზორ წოწონავას ოჯახის მწუხარებას საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო.

**აფხაზეთის ინტელიგენციისა და მეგობრების სახელით, რაჟდენ ქარდავა**

---

ვიზიარებთ ალუ და ჯემალ გამახარიების გულისტკივილს საყვარელი ძმის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული.

**რაჟდენ ქარდავა**

---

შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის ქუთაისის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის მაია ხელაძის მამის

## აკაკი ხელაძის

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბექა ხოფერია ბინას 190.000 დოლარად ყიდის



მომღერალ თიკა ჯამბურიას ყოფილი მეუღლე ბექა ხოფერია ვაკეში, ელიტურ კორპუსში არსებულ ბინას 190.000 დოლარად ყიდის.

ინფორმაცია ამის შესახებ მან ინტერნეტში თავად გაავრცელა.

225მ2 ფართის ბინა ელიტურ კორპუსში მდებარეობს, სადაც ყველაფერი უმაღლეს დონეზეა კეთილმოწყობილი, მათ შორის სადარბაზო, სადაც მარმარილოა გამოყენებული. კორპუსის პირველ-ორ სართულზე კი პარკინგია.

ოთხოთახიან ბინაში ორი საძინებელია. ბექა ხოფერიას მტკიცებით, სახლის განსაკუთრებული პლუსი ვერანდა და აივნებია. მე-11 სართულზე მდებარე ბინის აივნებიდან ულამაზესი ხედები იშლება.

ბექა ხოფერიას ინფორმაციით, ბინას საკუთარი სახურავი აქვს, სადაც მომავალ მფლობელს საშუალება მიეცემა გააკეთოს აუზი და ააშენოს ბუხარი.



# „სერენადას" ულამაზესი მსახიობი გარდაიცვალა

ლალი ხაბაზაშვილი – ულამაზესი გოგონა მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან „სერენადა" – 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„აბესალომ და ეთერი", „დიდედები და შვილიშვილები", „ალოობა" – ეს არის იმ ფილმების ჩამონათვალი, რომლებშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო. ულამაზეს ხელოვანს წილად ხვდა ბედნიერება სერგო ფარაჯანოვთან ემუშავა.

წარმატებული სამსახიობო კარიერის მიუხედავად, მან საყვარელი ადამიანის გამო კარიერაზე უარი თქვა, ყველაფერი მიატოვა და სახლში დაჯდა.

ლალი ხაბაზაშვილი მოულოდნელად გახდა ავად და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ის საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

# ვარძიის ნახანძრალ ტაძარში ბერები ზეპირ შეთანხმებას არ ასრულებენ

რამდენიმე თვის წინ ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ტაძარში მდგარი სასანთლე მაგიდა, რამაც უნიკალური ფრესკები ჭვარტლით დაფარა.

„ტფილისის ჰამქარის" ერთ-ერთი წევრი ცირა ელისაშვილი ვარძიის ნახანძრალ ტაძართან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს:

1. ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის ნახანძრალი ტაძრის გასაღები ვარძიის მუზეუმის დირექტორს არ აქვს.

2. პარაფინის სანთლის დანთება და გამათბობლის ჩართვა გრძელდება.

3. ზეპირი შეთანხმება ეკლესიასთან, რომ ტაძარი დაკეტილი უნდა იყოს, ირღვევა.

4. რესტავრატორები პირვანდელი სახის დაბრუნებას არ ადასტურებენ.

5. ნიკა ანთიძე ამბობს, რომ ყველაფერი აღდგება 90%-ით და ის 10% დანაკარგის თვალსაზრისით ისედაც შეიძლებოდა მომხდარიყო,



რაიმე სხვა მოვლენის, მაგალითად, მიწისძვრის შემთხვევაში.

6. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელი ჟურნალისტ თეა ადეიშვილისგან იგებს, რომ ბერები ზეპირ შეთანხმებას არ ასრულებენ.

ხოდა, აეროსმიტის კონცერტზე ბილეთი რა ღირს?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სპორტი



# ჟოზე მოურინიო: „მანჩესტერს მკვლელის ინსტინქტი აკლია"

პრემიერლიგაში მიმდინარე სეზონში მანჩესტერ იუნაიტედს შეტევაში ძალიან უჭირს. აქედან გამომდინარე, ხშირად ვერ იგებს კიდეც და გუნდმა უკვე მერვე ფრე ითამაშა. ამასთან, მანჩესტერელებმა ამჯერადაც ვერ ისარგებლეს სიტის, ტოტენჰემისა და ლივერპულის მიერ დაკარგული ქულებით.

საინტერესოა ისიც, რომ იუნაიტედს პრემიერლიგის ტოპ-ექვსეულში ყველაზე ნაკლები, 33 გოლი აქვს გატანილი, რაც 10-ით ნაკლებია მე-5 ადგილზე მყოფ სიტის შედეგზე და 18-ით ჩამორჩება ჩემპიონატის ყველაზე მეტი გოლის გამტან ლივერპულს.

მარტო სტოკ სიტისთან მიმდინარე სეზონში ჩატარებული ორი მატჩის ჯამში მოურინიოს გუნდმა 49-ჯერ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით, მაგრამ მხოლოდ 2 გოლი გაიტანა და ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით 1:1 დასრულდა.

მოურინიო ფიქრობს, რომ იუნაიტედი უფრო მომაკვდინებელი უნდა იყოს მომენტების გამოყენებისას, თუკი უმაღლესი დონის გუნდად დარჩენა სურს.

ჟოზე მოურინიო:

– იუნაიტედს კვირას გამართულ მატჩში კვლავ ჰქონდა მომენტების გამოყენების პრობლემა. ტოპ გუნდი უფრო მომაკვდინებელი უნდა იყოს. მატჩის პირველი მომენტი უნდა გამოიყენო და როცა ერთი ბურთის სხვაობით იგებ, მომდევნო შანსის დროს უკვე კლავ მეტოქეს, ჩვენ კი ამას ვერ ვახერხებთ. რამდენიმე შეხვედრაში შევძელით, მაგრამ იმ მატჩებშიც კი, რომლებიც მოვიგეთ, მაგალითად, მიდლსბროსა და კრისტალ პალასის წინააღმდეგ, ყოველთვის გვიჭირდა გატანა.

# კარლო ანჩელოტი წესების შეცვლას ეწინააღმდეგება



მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ფიფას ტექნიკური დირექტორის, მარკო ვან ბასტენის ფეხბურთის წესების შეცვლის იდეებზე კომენტარი გააკეთა.

ყოფილი ჰოლანდიელი თავდამსხმელი, რომელიც ამჟამად ფიფაში ტექნიკური დირექტორის პოზიციას იკავებს, საფეხბურთო სამყაროს ფეხბურთის წესებში რიგ ცვლილებებს სთავაზობს:

– მატჩების შემცირებას; დამატებითი დროის გაუქმებას; თავისუფალი დარტყმების შემოღებას პენალტების სერიის ნაცვლად (ფეხბურთელი 25 მეტრიდან ნელ-ნელა დაიძვრება კარის მიმართულებით და მეკარესთან პირისპირ დარჩენისას დარტყმას განახორციელებს, შესრულებისთვის კი მას 8 წამი გამოეყოფა); თამაშგარე მდგომარეობის წესის გაუქმებას; სტაფილოსფერი ბარათის შემოღებას, რომელიც მოიცავს რამდენიმეწუთიან გაძევებას; 15-წუთიანი ტაიმების შემოღებას ტაიმის ნაცვლად, ამასთან განმარტავს, რომ მწვრთნელებს 15-წუთიანი მატჩებისას 3 შესვენება ექნებათ ფეხბურთელებთან საკონტაქტოდ.

კარლო ანჩელოტი:

– გასულ თვეში ვან ბასტენს შევხვდი და სადილობისას მას ვუთხარი, თუ ფეხბურთს თამაშგარე მდგომარეობის წესის გარეშე ვითამაშებთ, ეს სპორტის სხვა სახეობა იქნება-თქო. თუ მათ სურთ, რომ სპორტის სხვა სახეობა გახადონ, მაშინ უნდა გვითხრან ამის შესახებ. წესების გამარტივება, კერძოდ კი, „თამაშგარესი" ძალიან რთულია. ახალი წესების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მან ჯერ მრავალი ტესტირება უნდა გაიაროს. ახალი წესები დაინერგება, მაგრამ მათ ჩემთვის კი არ დანერგავენ, არამედ – ახალი თაობისთვის.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# პროგრამა

**სამშაბათი 24 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ გიორგი ზურაბიშვილთან ერთად **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** მხ/ფ "**ბორნის უპირატესობა**"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ჯემალ და გია ბაღაშვილების საიუბილეო კონცერტი **00.30** მხ/ფ "**ანგელოზები: სიყვარულის ამბავი**" **02.35** მხ/ფ "**ზარი 2**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00,19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **16.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **17.30** ოსკარების ნომინაციების გამოცხადება **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18| **01.00** მხ/ფ "**სამი მეფე**" **03.05** მხ/ფ "**იდალგო**"

**06.10** სპექტაკლი "**იავნანამ რა ჰქმნა?!**" **07.00** სათავეებთან "მემედ აბაშიძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პატერიკი- "ვინ არის სამყაროს შემქმნელი" **10.40** დ/ფ "ანტიკური ქალაქები" I ნაწ. **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ჰობოი**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "თხა და ციკნები" **15.40** დ/ფ "ველური ბუნება" **16.10** ქრისტიანული ხელოვნება "ტიხრული მინანქარი" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "ნართები" **17.05** დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ორშაბათ საღამოს" **20.10** ღია აუდიტორია "თემურ ჩხეიძე" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ილორი" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელეჰ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 იანვრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6763 | ევრო — 2.8457 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2894 | 100 რუსული რუბლი — 4.4722 |

## ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის








20 იანვრიდან
დიდი ქართველი მეფეები
ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

24 იანვრიდან
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები
ჯეინ ოსტინი
გონება და გრძნობა




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 იანვრიდან




კანდიდ ჩარკვიანი
სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი



ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ამბობენ, რომ გამხდრები ბოროტები არიან, ხოლო მსუქნები კეთილები, და მე როგორი ვარ?

– მავნე!

•••

კაცები პრეფერანსს თამაშობენ, ლუდს წრუპავენ. ერთ-ერთი მეგობრებს ეუბნება:

– ჩემი ცოლისგან საშველი არ მაქვს! ყოველ წვრილმანზე მეჩხუბება! დავაგვიანებ და ცოცხით მცემს! ლამის თავი ჩამოვიხრჩო!

ერთ-ერთი დაარიგებს:

– სახლში რომ მიხვალ, როგორც კი შენზე გამოიწევს, ეგრევე სახეში სთხლიშე, კიდევ ამოიღებს ხმას და გვერდებში უთავაზე, თუ მაინც არ დაცხრება, მუცელში ჩასცხე... ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს! დაანახე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ! მერე მოდი და მოგვიყევი...

კაცი მივიდა სახლში, კარი გააღო თუ არა ცოლი ეკითხება:

– სად დაეთრეოდი, ნაგავო?!

ქმარი ეუბნება:

– ასე: ამ მომენტიდან აქ მე ვარ უფროსი... (და სახეში სთხლიშა). სახლში მოვალ, როდესაც მომესურვება და ახლა უკან ვბრუნდები პრეფერანსის სათამაშოდ... (გვერდში ჩასცხო მუშტი), ახლა კი გამოიცანი (მუშტი მუცელში უთავაზა) ვინ ჩამაცმევს ფეხსაცმელს...

ცოლი წელში გასწორდა და უპასუხა:

– პროზექტურის თანამშრომელი...

•••

კაცმა თავისი ცოლის საყვარელი დაიჭირა და სცემს. ატყდა ალიაქოთი, მოცვივდნენ მეზობლები. ერთ-ერთი მეზობელი მის დაწყნარებას ცდილობს და ეუბნება:

– რას შვრები, ეგ ხომ შენი შვილების მამაა...

•••

საოცრებაა პირდაპირ: თანამედროვე ქალები ატარებენ პარიკს, იღებავენ თმებს, იკეთებენ ხელოვნურ წამწამებსა და ფრჩხილებს, მკერდს სილიკონით იდიდებენ და მერე წუწუნებენ, რომ ნამდვილი მამაკაცის პოვნა ძნელია!

•••

პოლიციაში დაკითხვაზე:

– რის გამო დაიწყო ჩხუბი?

ეჭვმიტანილი პასუხობს:

– თავიდან იყო სიტყვა.

– რა სიტყვა?

– წადი, შენი დედა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



26 იანვრიდან




ურჩხული და მზეთუნახავი
მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## სერხიო ბუსკეტსმა ტრავმა მიიღო



ბარსელონას საყრდენმა ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა ეიბართან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანი უკვე მე-15 წუთზე დატოვა.

ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და ბუსკეტსი სავარაუდოდ ერთი თვე იქნება ფეხბურთის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ სერხიო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრას პსჟ-ს წინააღმდეგ გამოტოვებს, რომელიც 15 თებერვალს გაიმართება. ბუსკეტსის არყოფნა ბარსელონასთვის დიდი დანაკლისია, რადგან სერხიო ბარსელონას ნახევარდაცვის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა.

ეიბარი ბარსელონამ იოლად, 4:0 დაამარცხა.

## ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გავიდა



ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კანადელი მილოშ რაონიჩი იქნება. მერვედფინალში ნადალმა ფრანგი ჩოგბურთელი გაელ მონფილსი დაამარცხა 4 სეტში.

რაფა ამ შეხვედრაში ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მან მესამე სეტი წააგო.

რაონიჩთან შეხვედრა ესპანელი ჩოგბურთელისთვის რთული იქნება, რადგან წლის დასაწყისში მან უკვე წააგო მატჩი რაონიჩთან.

სხვა მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: ფედერერი-ზვერევი, გიფენი-დიმიტროვი და ცონგა-ვავრინკა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლევან მჭედლიძის გოლმა ემპოლის მოაგებინა

ქართველმა ლეგიონერმა ლევან მჭედლიძემ ემპოლის შემადგენლობაში კიდევ ერთი გოლი გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

მჭედლიძე ბოლო პერიოდში კარგ ფორმაშია და მან დეკემბრის შემდეგ ოთხჯერ მოახერხა მეტოქე გუნდების კარში გოლის გატანა.



ქართველმა ფორვარდმა უდინეზეს კარი 82-ე წუთზე აიღო და მისი გატანილი გოლი შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა.

ამრიგად, ლევანის გოლმა ემპოლის მოაგებინა და ეს გამარჯვება ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ცუდი სტარტის შემდეგ ემპოლის ქულები სჭირდება. 21 ტურის შემდეგ ემპოლი მე-17 ადგილზე იმყოფება და სერია ?-ში დარჩენისთვის იბრძვის.

## ჰალ სიტის ფეხბურთელი ჩელსისთან მატჩში სიკვდილს გადაურჩა



ჩელსის და ჰალ სიტის შეხვედრაში, რომელიც ჩელსიმ 2:0 მოიგო, მეტად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა.

ერთ-ერთ ეპიზოდში ჰალის ფეხბურთელი რაიან მეისონი და გარი კეჰილი ერთმანეთს თავებით დაეჯახნენ, რის შემდეგაც მეისონმა ტრავმა მიიღო და შეხვედრა დაახლოებით 10 წუთი გაჩერდა.

მეისონი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა, რომ მას თავის ქალა აქვს დაზიანებული, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შეხვედრის შემდეგ მეისონი ჰალ სიტის რამდენიმე ფეხბურთელმა მოინახულა და მას მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

მეისონი, სავარაუდოდ, ერთი კვირის მანძილზე საავადმყოფოში დარჩება.

## არტურო ვიდალმა შესაძლოა ერთი თვე გამოტოვოს



მიუნხენის ბაიერნის ჩილელმა ფეხბურთელმა არტურო ვიდალმა ფრაიბურგთან შეხვედრაში ტრავმა გაირთულა და ამის გამო მან შესაძლოა ერთი თვე ვერ შეძლოს თამაში.

ვიდალს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა ფრაიბურგთან თამაში, რის შემდეგაც მან ტრავმა გაიმიზეზა და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

ვიდალის თქმით, ის თავს ცუდად გრძნობს და ტკივილები აწუხებს, ამიტომ მცირე პაუზის აღებას აპირებს ფეხბურთისგან.

მიუხედავად ამისა, ვიდალი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში არსენალის წინააღმდეგ თამაში შეძლოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი არხი; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. მოედანი პარიზში, სადაც ხდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. ძველებური სავაჭრო, სასადილო; 15. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 17. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 20. კათოლიკური ჯვარი.

**თარაზულად:** 5. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 6. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 8. უმცროსი მეთაური, კაპიტნის თანაშემწე გემზე; 10. უბანი სოხუმში; 11. ირანსა და შუა აზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 13. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. ბატონის მიერ ეკლესიის მფარველობაში გადაცემული ყმა გლეხი ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტიანი თლილი ქვა; 19. კუთხე საქართველოში; 21. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 22. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი